კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

გოჩა პაპიძე

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე გამოწვევები

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ნანა ზაზაძე,

ეკ. აკადემიური დოქტორი, ასოც. პროფ.

თბილისი 2021

ანოტაცია

ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბების მკვეთრი ზრდა მრავალი ასპექტით აყალიბებს კითხვის ნიშნებს მის რაობასთან დაკავშირებით. ნაშრომში განხილულია მიგრაციულ პროცესებში ჩართული ყველა მხარის პოზიცია, გაანალიზებულია ის შედეგები, რასაც იმკის როგორც გამგზავნი, ასევე მიმღები სახელმწიფო, მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში. ხაზგასმულია მიზეზები, რომელიც მიგრაციული პროცესების გაღრმავებას უწყობს ხელს. შემოთავაზებული რეკომენდაციები მოიცავს სამომავლო ღონისძიებათა ერთობლიობას, შეუქცევადი პროცესის - მიგრაციის სამართავად. დამხმარე საშუალებებს შორის კვლევის ანალიზი და პარალელების გავლებაა იმ სახელმწიფოებთან, რომელთაც პროცესის მართვა მაღალ დონეზე შეძლეს. ასევე, განხილულია სამეცნიერო სტატიები და სახელმძღვანელოები, რომელიც რიგ საკითხებზე ობიექტური მსჯელობის შესაძლებლობას გვაძლევს.

კვლავ რიტორიკული დარჩა კითხვა, დადებითია თუ უარყოფითი მიგრაციული პროცესების მიმდინარე დინამიკა, თუმცა აღინიშნა, რომ ნებისმიერი პასუხის შემთხვევაში ადამიანური რესურსების სწორი, მიზნობრივი და ეფექტური მართვა შეამცირებს სოციალურ უკმაყოფილებასა და საკითხის პოლიტიზირების მცდელობას, ვინაიდან სამსჯელო თემა მოიცავს ინდივიდის მხრიდან გადასადგამ ნაბიჯებსაც, სახელმწიფოს მხრიდან პასუხისმგებელი უწყების ჩართულობის პარალელურად, რასაც შეუძლია გავლენა იქონიოს მიმდინარე პროცესების სამომავლო განვითარებაზე.

Anotation

Gocha Papidze

Modern challenges of international migration of human resources

Dozens of questions are formulated by increasing the the volume of international migration of human resources. Work contains discussions touching upon the participant side's positions. given are the results of receiver, sender country affects as well, including long and short-term perspectives. Highlighted are the reasons with an ability to deepen migration processes. Helpful recommendations mantiones "thinks to do" examples for managing the migrational processes. Georgia can take an example of the mentioned countries from the work to accomplish the similar challenges they have already overcome. Some articles are used for catching parallels. Furthermore, several researches and books are analyzed for formulating objective positions touching upon the related topics.

Rhetoric question, whether ongoing migration tendencies are positively or negatively perceived remains unanswered, even though effective usage of human resources can decrease social discontent and attempts to be used topic, for political purposes. Work contains recommendations for civilians too, alongside with the govermnental empowerment to involve, for developing direction of the upcoming proccesses.

შინაარსი

ანოტაცია 2

შესავალი 6

თავი I. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციული პროცესების თეორიული

ასპექტები.....10

1.1. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციული პროცესები და მისი გამომწვევი მიზეზები 10

1.2. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის მასტიმულირებელი ფაქტორები 18

თავი II. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე გამოწვევები 21

2.1. საერთაშორისო მიგრაციის გამოწვევები საქართველოში.....21

2.2. 2.2. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციული პროცესების შედარებითი ანალიზი (საქართველო, ისრაელი, აშშ).....26

2.3. მიგრაციული პროცესების დადებითი და უარყოფითი შედეგები 37

თავი III. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მართვის პრობლემები და მათი სრულყოფის გზები.....41

3.1. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის მიმოხილვა (საქართველოს მაგალითზე).....43

3.2. სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო მიგრაციული პროცესების რეგულირება, უცხოეთის გამოცდილებაზე დაყრდნობით 56

დასკვნა 60

გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა 64

დანართი 1.1.1. არალეგალი მიგრანტების პროცენტული მაჩვენებელი ევროკავშირში (2019წ) 67
დანართი 1.1.2. აფრიკის კონტინენტიდან მიგრანტთა ძირითადი მარშრუტები.....68
დანართი 1.1.3. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიგრაციული სტატუსი, 2019წ. 69
დანართი 2.1.1. ევროკავშირიდან საქართველოში დეპორტირებული მოქალაქეების რაოდენობა, 2018წ 71
დანართი 2.2.1. მიგრაციის გავლენა მიმღები/გამგზავნი სახელმწიფოსთვის.....72
დანართი 2.3.1. აშშ-ს ბიუჯეტიდან თავდაცვის კუთხით გამოყოფილი სახსრები და მისი კავშირი მშპ-სთან. 74
დანართი 3. კვლევის კითხვარი 75

შესავალი

თემის აქტუალობა: მედალიონს ორი მხარე აქვს. საკითხს, რომელსაც ცალმხრივად არ განვიხილავთ აღმოაჩნდება დადებითიც და უარყოფითიც, შესაბამისად აბსოლუტური ჭეშმარიტება არ არსებობს, თუმცა მნიშვნელოვანია მოცემულობის გაანალიზებით შეგვეძლოს იმ ალტერნატივების გარჩევა, რა არის საუკეთესო და რა უარესი. მიგრაციული პროცესების ინტენსივობა დიდ გავლენას ახდენს მსოფლიოში საზოგადოებრივი საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში, მათ შორის საქართველოშიც და მნიშვნელოვანია შევაფასოთ სიტუაცია: როგორ ფენომენთან გვაქვს საქმე, უნდა ვიზრუნოთ ტენდენციის პრევენციაზე თუ პირიქით, ხელი შევუწყოთ მის გაღრმავებას. მიგრაციული პროცესები 21-ე საუკუნეში გლობალიზაციის თანმხვედრი პროცესების ჩართულობით, განსაკუთრებით სტიმულირდება და შესაბამისად საკითხი იმდენად აქტუალურია, რამდენადაც მაღალია უარყოფითი მიგრაციული მაჩვენებელი სახელმწიფოსთვის.

მიზნები და ამოცანები: ნაშრომის მიზანია გავაანალიზოთ ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციულ პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. განვიხილოთ,თუ რა იწვევს მას და რა შედეგი მოყვება, როგორც ადამიანური რესურსის გამგზავნ, ასევე მიმღებ სახელმწიფოსთვის. თუმცა, საკითხის გარშემო მხოლოდ ინფორმაციის აკუმულირება არ გასცემს უკვე გაჩენილ ან ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ კითხვებზე პასუხს. პასუხს კითხვებზე, თუ რა იქნება სამომავლო, სამოქმედო გეგმა? რა ოპტიმალური ვარიანტი შეგვიძლია შევთავაზოთ სახელმწიფოს და საზოგადოებას? ვისი ჩართულობა იქნება საჭირო პროცესში და რა ჩართულობას მოიცავს ის? - ამ და დამატებით კითხვებზე ოპტიმალური პასუხების შეთავაზება იქნება ნაშრომის დასკვნითი ნაწილის განხილვის ძირითადი ნაწილი. ამოცანა კი შემდეგში მდგომარეობს, ნაშრომში დეტალურად აღწერილი პროცესები, რომ გახდეს ცხადი და მარტივად აღსაქმელი, თითოეულმა ადრესატმა შეძლოს საკუთარი თავისა იდენტიფიცირება და იმ როლის შესრულებაზე

პასუხისმგებლობის აღება, რისი შესრულების მორალურ ვალდებულებასაც იგრძნობს.

საგანი და ობიექტი: ნაშრომის საშუალებით მოხდება საქართველოს რიგითი მოქალაქეების აზრთა მრავალფეროვნების გენერირება მიგრაციულ საკითხთან მიმართებაში. იმ ბარიერების გაანალიზება, რაც უტოპიურ იდეას შეეწინააღმდეგება და საწყისშივე წარმოქმნის დიდ გამოწვევებს. მოხდება საქართველოსა და ევროკავშირის სტატისტიკის ეროვნული სამსახურების მონაცემების განხილვა და გადამუშავება. თემასთან კავშირში მყოფი სტატიებისა თუ ნაშრომის განხილვა და სხვა.

თემის შესწავლის მდგომარეობა: იქიდან გამომდინარე რომ, მიგრაცია არ წარმოადგენს ახლად ჩამოყალიბებულ პროცესს, საკითხი შესწავლილი და განხილულია უამრავი მეცნიერის მიერ სხვადასხვა რაკურსით განსხვავებულ კონტექსტში. მათ შორის ბევრის მოსაზრება დროს უძლებს და მყისიერია გარე გარემოს ცვლილებებისადმი. მსგავსად რობერტ კენედის[1] სიტყვებისა, რომ „ამერიკელთა დამოკიდებულება იმიგრანტებისადმი[2] ზუსტი ანარეკლია იმის, თუ რამდენად სწამთ ნოლიდან დაწყებული - წარმატების მწვერვალამდე ასვლის შესაძლებლობის, განურჩევლად ეროვნებისა, მხოლოდ ტალანტის და ნიჭის დახმარებით (ჯენედი რ.ფ.ბ. 1966). თუმცა გლობალიზაციის შეუფერხებელმა პროცესებმა ბევრი ნიუანსი წარმოშვა, რასაც ხელახალი მსჯელობა და მოსაზრებების გადახედვა სჭირდება.

ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები: ნაშრომი ეყრდნობა მეორეული და პირველადი წყაროების გამოყენებას, ინფორმაციული ბაზის გამოყენება კლასიფიცირებულია სამსჯელო თემის განვითაებიდან და გაჩენილი კითხვებისთვის გასაცემი პასუხების დაგროვებული რესურსიდან გამომდინარე.

ჩართული დაკვირვების დახმარებით ჩატარებული თვისებრივი კვლევა კი, მოგვცემს განახლებულ საზოგადოებრივ აზრზე სიღრმისეულ ინფორმაციას; მიგრაციის გარშემო მიმდინარე გამოწვევებისა თუ გარდაუვალი და საჭირო

[1] რობერტ ფრენსის „ბობი“ კენედი - 1925-1968. ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწე. ნიუ-იორკის სენატის დემოკრატი წევრი. ჯონ კენედის ძმა.

[2] იმიგრანტი - სხვა ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მიმღებ სახელმწიფოში დროებით ან სამუდამოდ რჩება.

პროცესების იდენტიფიცირების შესაძლებლობას; შესაძლო სამოქმედო გეგმის წარმართვის ხედვას და იმ სფეროების გამოყოფას, რასაც შეუძლია პროცესებზე პოზიტიური ეფექტი მოახდინოს და დააჩქაროს (შესაძლებელი გახადოს სწორი რაკურსით) მიგრაციული ნაკადების (ადამიანური რესურსების) მართვა.

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა: ნაშრომის თეორიულ მნიშვნელობას რაც შეეხება, თემა ღირებულია რამდენიმე ძირითადი მიზეზის გამო:

- აჯამებს საკითხის გარშემო ყველა ნიუანსს რასაც გავლენის მოხდენა შეუძლია მიგრაციული პროცესების წარმოქმნაზე;
- გვაძლევს სისტემურ ინფორმაციას მიგრაციის ძირითად მიზიდულობის ცენტრებზე;
- განიხილავს საქართველოს მიმდინარე პროცესებს - მიგრანტთა ნაკადებს, გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს;
- გვთავაზობს არსებულ გამოწვევებზე საპასუხო რეკომენდაციებს.
- ასევე, განვითარებულია მსჯელობა, რომ მიგრაციას უარყოფითთან ერთად დადებითი ეფექტის მოხდენაც შეუძლია, სხვადასხვა სახელმწიფოებრივ ჭრილში განხილვისას.

ამრიგად 360^0 -ით განხილულია ყველა ის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, რაც თან მიგრაციულ პროცესებს , როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში. შედარებითი ანალიზის საფუძველზე განხილულია სხვადასხვა სახელმწიფოების მაგალითი და პროცესის მართვის რამდენიმე ალტერნატივა. დამატებით, თეორიის დონეზეა განხილული იმ დარგების განვითარების გეგმა, რასაც შეუძლია პროცესების სწორი და ეფექტიანი მართვის ხელშეწყობა. დასკვნის სახით კი, შეჯამებულია რეკომენდაციების ერთობლიობა. კიდევ ერთხელ ხაზგასმულია ინდივიდის, ბიზნეს ოპერატორისა და სახელმწიფოს მორალური ვალდებულებების მნიშვნელოვნება.

სამეცნიერო სიახლე: ნაშრომი გარდა იმისა რომ, ამსხვრევს სტერეოტიპებს და იოლი გზებით მიღწევად წარმატებულობის ილუზიებს, ასევე შეუძლია იქონიოს გავლენა სფეროში ცნობიერების ამაღლების კუთხითაც. რაც როგორც მინიმუმ შეამცირებს საკითხზე ცალმხრივი შეფასებების გაკეთების პრეცედენტს. გახდება

მასტიმულირებელი მიგრაციული პროცესების სწორი რაკურსით აღქმიდან, უკვე ლოგიკურ, პირველ სვლებამდე მისასვლელად. განხილულია ორივე რაკურსით მიგრაციის, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოვლენის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და წარმოდგენილია რეკომენდირებული სამოქმედო გეგმა, რომელიც ორიენტირებულია არა პროცესის რომელიმე მიმართულებით მხარდაჭერა-წახალისებაზე, არამედ ზოგადად, ინდივიდის, როგორც მთლიანი ორგანიზმის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების სტანდარტის და მისი თანმხვედრი ფაქტორების გაუმჯობესებაზე.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: ნაშრომი შედგება 78 ნაბეჭდი გვერდისგან და მოიცავს: სატიტულო გვერდს, შინაარს, ანოტაციას - ქართულ და ინგლისურ ენაზე, ტექსტის ძირითად ნაწილს და გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ ნუსხას. ტექსტის ძირითადი ნაწილი კი შედგება შესავლის, სამი თავის, ექვსი ქვეთავის და დასკვნისაგან. ნაშრომს თან ერთვის ხუთი დამხმარე დიაგრამა რიგი მონაცემების საილუსტრაციოდ და კვლევის კითხვარი.

თავი I. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციული პროცესების თეორიული ასპექტები

1.1. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციული პროცესები და მისი გამომწვევი მიზეზები

მიგრაციაში წასული ადამიანის ფიზიკური ან/და გონებრივი ძალა დანაკარგია გამგზავნი სახელმწიფოსთვის, მიმღებისთვის კი საჩუქარი, დამუშავებული ან დაუმუშავებელი ალმასი, ისევე, როგორც შეიძლება საკითხის განხილვა შემდეგი რაკურსითაც, რომ ემიგრაციაში წასული ყოველი ადამიანი შვებაა გამგზავნი სახელმწიფოსთვის გამოთავისუფლებულ სამუშაო ადილებზე კონკურენციის, ასევე, მიღებული გზავნილების და ამ გზავნილებიდან მიღებული სარგებლის თვალსაზრისით. მიმღებისთვის კი ტვირთი და მწვავე კონკურენციის, დაპირისპირების, რადიკალური ნაციონალიზმის მასტიმულირებელი ფაქტორი.

ასევე, აღსანიშნია, რომ მსჯელობის პორცესში შევხვდებით მიგრაციის რამდენიმე ტიპსა და მათ სახესხვაობებს. თუმცა, როგორ ფენომენთანაც უნდა გვქონდეს საქმე, მსჯელობის საგანი ხდება საბოლოო ჯამში ადამიანური რესურსი და ამ რესურსის გადაადგილებით გამოწვეული ეფექტი სახელმწიფოს ჭრილში. ვიდრე მიგრაციული პროცესების გამომწვევ, მასტიმულირებელ ან/და პრევენციულ ღონისძიებებს შევეხებით, უნდა აღინიშნოს ჟ.ა ზაიონჩკოვსკაიას „მიგრაციის“ - ტერმინის განმარტება, რომ მიგრაცია მძიმე სოციალური და ეკონომიკური ფონით გამოწვეული, ადამიანთა დინამიური ნაკადია [**Под ред О. Д Воробьевой, Випуск II, М. 2001, გვ. 4**]. Forbes-ის ქართულ გამოცემაში ვკითხულობთ თათული დუშუაშვილის მოსაზრებას, რომ მაღალი ანაზღაურების სურვილი ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალად არის მიჩნეული. ვინაიდან ანაზღაურება არის ფასი, რომელსაც ადამიანის გაწეული შრომის სანაცვლოდ, მათ უნარებში იხდიან [**დუშუაშვილი. თ. მიგრაცია-ქვეყნის განვითარების მასტიმულირებელი თუ შემაფერხებელი ფაქტორი. Forbes.ge.**

7.7.2015]. ,,გავრცელებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, იმიგრანტები მიგრირებენ მდიდარ ქვეყნებში არა სურვილის გამო, არამედ ძირითადად იმიტომ, რომ იქ უფრო საჭირონი არიან“[**Portes, Globalization from below: The rise of transnational comunities , pg.5**].

მიგრაციულმა პროცესებმა განსაკუთრებით მწვავე ფორმა მიიღო 21-ე საუკუნეში, გამარტივებული ინფრასტურქტურისა და გადაადგილების საშუალებებზე ხელმისაწვდომობის გამო, „საერთაშორისო მიგრანტთა აბსოლუტური რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა 1960-2015 წლებში, ზრდის დაახლოებით 200%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა [**ხაჩიძე. ს. თანამედროვე მიგრაციული პროცესები გლობალიზაციის კონტექსტში. თბილისი 2019**].

განსხვავებით გასული საუკუნეებისა, მოცემულობა დღეს გაცილებით კომპექსური და არაპროგნოზირებადია. მსოფლიოს ისტორიის განმავლობაში, თუ ყოველთვის არსებობდა განსაკუთრებით გამოკვეთილი მიზიდულობა კონკრეტული ლოკაციებისკენ, რომელიც პერიოდულად იცვლებოდა მიგრაციის მოცულობითი ნაკადის ცვლილებასთან ერთად, დღეს პროცესი შემდეგი სისტემური კავშირით შეგვიძლია ზოგად ჭრილში აღვწეროთ, რომ გადაადგილების მიმართულებები გამოხატულია სამ მთავარ კლასიფიცირებულ ნაკადში, ესენია: განვითარებადი სახელმწიფოებიდან-განვითარებულში მიგრაციის ტენდენცია, განვითრებული სახელმწიფოებიდან-განვითარებულში და განვითარებადიდან-განვითარებადში. უცვლელი რჩება მიზანი, თუ რატომ ტოვებს მშობლიურ გარემოს ადამიანი და ირჩევდა რთულ გზას, გაიაროს ადაპტაცია ახალ გარემოცვაში. სწორედ შესაფერისი იქნება დავსვათ მსჯელობის დასაწყისშივე კითხვა: „რატომ“, იმისთვის, რომ უკეთ შევძლოთ მასტიმულირებელი ფუნქციებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაანალიზება.

ადამიანი ტოვებს საკუთარ სახლს, საახლობლო წრეს და ხშირად ოჯახის წევრებსაც, იმისთვის რომ უზრუნველყოს საკუთარი ან/და ახლობლების კეთილდღეობა და გაიუმჯობესოს მატერიალური მდგომარეობა; იმისთვის, რომ არახელსაყრელი პოლიტიკური მდგომარეობა აიძულებს მიიღოს მსგავსი

გადაწყვეტილება; მიზეზე კულტურული ან/და რელიგიური ფაქტორიც შეიძლება გახდეს და რაღა თქმა უნდა კონფლიქტური სიტუაციები სახელმწიფოთაშორის, ან თუნდაც შიდა სახელმწიფოებრივი, რაც სხვა გამოსავალს არ უტოვებს მოქალაქეს. საჭიროა თავიდანვე გავმიჯნოთ შიდა და გარე მიგრაციას შორის სახესხვაობები. ვინაიდან ჩვენი სამსჯელო თემა საერთაშორისო მიგრაციაა, ყურადღებასაც შესაბამისი მიმართულებით გავამახვილებთ.

თანამედროვე მსოფლიოს ტენდენციებზე ზედაპირული დაკვირვებით, საერთაშორისო მიგრაციის მრავალ ფორმას შორის გამოირჩევა მიგრაციის ტიპი: განვითარებადი სახელმწიფოებიდან-განვითარებული სახელმწიფოების მიმართულებით.

საილუსტრაციოდ აფრიკის მაგალითის განხილვა შეგვიძლია. ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში გაიზარდა აფრიკიდან მიგრანტთა რაოდენობა ევროპის მიმართულებით. მიგრანტები ტუნისის, ლიბიის, ეთიოპიის, სუდანისა და ნიგერიის რეგიონებიდან ყოველდღიურად ცდილობენ ხმელთაშუა ზღვის სახიფათო მარშრუტებით გადავიდნენ იტალიისა თუ ესპანეთის საზღვარზე[3]. მიზეზები საერთაშორისო საზოგადოებისთვის ცხადი და გასაგებია. ძირითადად კი ეს არის არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, გაზრდილი რეპრესიული რეჟიმები და დევნა. ისევე, როგორც თანმდევი რთული ეკონომიკური მდგომარეობა (სიღარიბე, უმუშევრობა) და მდგომარეობის შეცვლის ნულოვანი პერსპექტივა[4]. სწორედ პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების თანხვედრაა მსგავსი მასშტაბებით მიგრაციის გამომწვევი მიზეზი და ცხადია, მდგომარეობის შეცვლის გამოსავალი არა სხვა მრავალი გამოწვევებით დამახასიათებელი აზიის კონტინენტი ან/და შორეული და რთულად მისაღწევი ამერიკის, თუნდაც ავსტრალიის კონტინენტებია, არამედ, მაღალგანვითარებული, სტაბილური და მიმზიდველი ევროპაა. თავშესაფრის მაძიებელ მიგრანტებს აქვთ იმედი, რომ მიიღებენ სახელმწიფო შემწეობასა და საარსებოდ მინიმალურ საცხოვრებელ პირობებს. მიგრანტთა ნაკადების

[3] წყარო: African migration: what the numbers really tell us | World Economic Forum (weforum.org)
[4] წყარო: Top 7 Reasons Africans Migrate To Europe | Listwand

არალეგალურად შეღწევის მცდელობების მაჩვენებელიც მაღალია. 2019 წელს ევროპის კომისიის გვერდზე გამოქვეყნდა სტატისტიკა ევროპაში არალეგალური მიგრაციის მცდელობების მაჩვენებლებით სახელმწიფოების მიხედვით: **დანართში 1.1.1.** მოცემულია 2019 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, არალეგალი მიგრანტების პროცენტული მაჩვენებელი ევროკავშირის ტერიტორიაზე, რომელთაც უკანონოდ გადაკვეთეს ევროკავშირის საზღვარი[5]. ხოლო, **დანართი 1.1.2.** -ზე აფრიკის კონტინენტიდან მიგრანტთა ძირითადი მარშრუტები. მსგავსი მასშტაბით გადინება, როგორც აღვნიშნეთ დამახასიათებელია, ძირითადად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად არასტაბილური სახელმწიფოებისთვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევებში აფრიკის ცენრალური და სამხრეთ ნაწილებიდან წამოსული ნაკადების საბოლოო დანიშნულების პუნქტი ევროპა არ არის და ადგილი აქვს შიდა კონტინენტალურ მიგრაციას.

ადამიანური რესურსების გადაადგილებით ევროპის კონტინენტის მიმართულებით, თუნდაც **დანართი 1.1.1.**_დან იკვეთება, რომ რიცხვი აფრიკის ქვეყნებთან შედარებით გაცილებით მაღალია სირიის, ავღანეთის თურქეთისა და ერაყის შემთხვევაში. ჯერ მხოლოდ 2014-2017 წლებში სირიიდან 919 ათასი ადამიანი ლტოლვილის სტატუსით მიადგა ევროპის საზღვრებს[6]. მწვავე პოლიტიკური კრიზისი და საერთაშორისო დონის მნიშვნელობის კონფლიქტი სირიის ტერიტორიაზე გარდაუვალს ხდიდა, რომ გაიზრდებოდა მიგრანტთა ნაკადი.

პოლიტიკურ დესტაბილიზაციასა და საომარ მოქმედებებს უზარმაზარი ეფექტის მოხდენა შეუძლიათ და ხშირად აქსელერატორის ფუნქციას ასრულებს ადამიანის იმპულსებზე მოქმედების კუთხით. სწორედ მსგავს სიტუაციაში მჟღავნდება ეკონომიკური გამოწვევები და რთულად მოსაგვარებელი სოციალური პრობლემები. უკვე ნახსენებ უმუშევრობას და მძიმე სოციალურ ფონს თანმხლები დისკომფორტის წარმომქმნელი მოვლენები ემატება, ისეთი, როგორიც არის, მაგალითად: გაუმართავი ინფრასტრუქტურა, მოუწესრიგებელი ელექტრომომარაგების, წყალმომარაგების ან/და ბუნებრივი აირის მომარაგების

[5] წყარო: Statistics on migration to Europe | European Commission (europa.eu)
[6] წყარო: Migration to Europe in charts - BBC News

ქსელები. გაზრდილი კორუფცია და გახშირებული ნეპოტიზმი, მომატებული კრიმინალი და უსაფრთხოების დაუცველობა. ავღანეთის გამომფიტავი და დაუსრულებელი სომარი მდგომარეობა, სრული სიზუსტით ეხმიანება აღწერილ მდგომარეობას. შედეგად მსოფლიოს უწევს იმ საფასურის გადახდა, რასაც ქვია ჭარბი რაოდენობით ადამიანური რესურსის არამიზნობრივი და არაეფექტიანი გადაადგილებით გამოწვეულ ალტერნატიულ დანახარჯებთან შეგუება. პროცესი განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გამწვავდა, მას შემდეგ, რაც აშშ-ს პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა განაცხადა, რომ 2021 წლის სექტემბერში, ავღანეთიდან სრულად გაიყვანს ამერიკელ ჯარისკაცებს[7]:

„We cannot continue the cycle of extending or expanding our military presence in Afghanistan hoping to create the ideal conditions for our withdrawal, expecting a different result“ [**Joe Biden, Wshington DC, 15.04.2021**]

პროცესმა კიდევ უფრო გააღრმავა მკვიდრი მოსახლეობის მღელვარება. თეთრ სახლში გაკეთებული განცხადებიდან მალევე გაიზარდა ავღანეთიდან მიგრანტთა ნაკადი, რადგან მოსახლეობა ალ-ქაიდას[8] რეჟიმთან დაუცველი, პირისპირ დარჩენის რისკს საგანგაშოდ აფასებს.

ზოგად ჭრილში პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს კულტურული, დემოგრაფიული და ეთნიკური სახესხვაობების გავლენა მიგრაციის ტენდენციებზე. მაღალია ინდოეთიდან დიდ ბრიტანეთში მიგრაციის მაჩვენებელი, ისევე, როგორც პაკისტანისა და ბანგლადეშის დიასპორის ნიშნული, რაც თავისთავად დიდი ბრიტანეთის კოლონიზატორობითა და გარკვეულწილად ისტორიული იდენტობით გამოიხატება[9]. მაშინ, როცა უმეტესი პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოსთვის გრავიტაციის ცენტრი რუსეთია. ამგვარი იმპულსები მეტყველებს შემდეგზე, რომ მიზიდულობის ცენტრები შედარებით მარტივად ადაპტაციის შესაძლებლობას

[7] წყარო: The U.S. War in Afghanistan | Council on Foreign Relations (cfr.org)

[8] ალ-ქაიდა - ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს პან-ისლამური ხალიფატის დაარსებას ისლამურ სამყაროში და შემდგომ მის ექსპანსიას მსოფლიო მასშტაბით. [მაისაია. ვ. თანამედროვე ისლამის როლი მსოფილიო გეოპოლიტიკაში - ფრიდრიხ ებერტის ფონდი]

[9] WorldAtlas.com / former british colonies (Former British Colonies - WorldAtlas)

აძლევს მიგრანტს. ამიტომ, რამდენიმე თანმხვედრი, მიგრაციის გამომწვევი მიზეზის არსებობის შემთხვევაში, ინდივიდისთვის პრიორიტეტული ან/და მეტად სასურველი მიმართულება სწორედ რომ ის ნაცნობი კულტურისა და ტრადიციების სახელმწიფო აღმოჩნდება, რომელთანაც გარკვეულწილად ისტორიული კავშირი გააჩნია მშობლიურ სახელმწიფოს, თუნდაც ეს ნეგატიურ კონტექსტში აიხსნებოდეს და ქმნიდეს ერთგვარ პარადოქსს ქვეყანათშირისი ურთიერთობების ლაბირინთში ან/და პრიორიტეტული ხდება პოტენციური მიმღები ქვეყანა უკვე ჩამოყალიბებული ან ჩამოყალიბებადი დიასპორით, რაც მიგრანტში დაცულობის ხარისხს ზრდის და ამცირებს შიშის, ნოსტალგიისა და წარუმატებლობის განცდას, ვინაიდან დიასპორის იმედი აძლევს რისკზე წასვლის შესაძლებლობას. ასეთი კი გერმანიაა თურქეთისთვის, სადაც უკვე მრავალი ათწლეულია ყველაზე დიდ ეთნიკურ უმცირესობას თურქი ემიგრანტები წარმოადგენენ.

არანაკლებ საყურადღებოა ჩინეთის მაგალითიც. მიუხედავად იმისა რომ სწრაფად მზარდი დინამიკით პროგრესირდება ჩინეთის ეკონომიკური შესაძლებლობები და პოლიტიკური გავლენა მსოფლიოს მასშტაბით, ჯერ კიდევ განვითარებად ინდუსტრიალურ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნება. მოსახლეობის რიცხოვნობით მოწინავე სახელმწიფოს უმუშევრობის ნიშნული ურბანულ ნაწილებში 3,6% ის ფარგლებშია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი და უდიდესი გამოწვევაა ადგილობრივი მთავრობისთვის. სამუშაოზე მაღალი მოთხოვნა და არასაკმარისი შეთავაზება ერთი მხრივ აზიანებს სახელფასო პოლიტიკას, მეორე მხრივ კი კვლავ შეუცვლელს ტოვებს სამსახურის მაძიებელთა რაოდენობას. აქედან გამომდინარე, სწრაფად გავრცელდა მთელს მსოფილოოში ჩინეთიდან ემიგრაციის მასშტაბები. თავდაპირველად განვითარებულ სახელმწიფოებში, პერიოდულად კი განვითარებადი სახელმწიფოებიც მოიცვა მიგრანტთა ნაკადმა. ჩინეთის შემთხვევაში უნიკალურია ფაქტორი, რომ დიდი ნაწილი ემიგრანტებისა მიმღებ სახელმწიფოებში ხსნის სავაჭრო სახლებსა და მაღაზიებს, ჩინეთში ნაწარმოები პროდუქციის რეალიზაციის მიზნით, ბაზარზე არსებული საფასო პოლიტიკიდან

გამომდინარე ხარისხობრივი ასპექტის გათვალისწინებით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც დემოგრაფიული მიზეზებით გაზრდილი მიგრაციის ნაკადები თავადვე ახერხებენ საკუთარი რესურსების სწორ გამოყენებას.

განვითარებად სახელმწიფოდან - განვითარებულ სახელმწიფოებში მიგრაციის მასტიმულირებელ ფაქტორებზე ნაწილობრივ გავეცით პასუხი, რომ გამოწვეულია უკეთესი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი მოლოდინებიდან. საინტერესოა შემთხვევები, მიგრაციის გამოხატულებისა, როდესაც ადგილი აქვს განვითარებულ სახელმწიფოებს შორის შრომითი რესურსების ნაკადის გადაადგილებას. სადაც მინიმუმამდეა დაყვანილი იძულებითი მიგრაციის ან/და დისკრიმინაციის ნიშნები. შემთხვევების აბსოლუტური უმრავლესობა გამოწვეულია თავისუფლად გადაადილებადი შრომითი რესურსების მიზიდულობის პრიმატთან. როდესაც არჩევის თავისუფლების სუბიექტურ გადაწყვეტილებასთან ერთად, უკვე პროცესში სხვადასხვა მარკეტინგული კამპანიები ერთობა, რაც მსოფლიოს მასშტაბით კვალიფიციური კადრების მიზიდვას და მიღებული რესურსი სათანადოდ გამოყენებას გულისხმობს.

მზარდია ავსტრალიიდან დიდ ბრიტანეთში, კანადიდან აშშ-ს, ევროპიდან აშშ-ში და სხვა მიმართულებებით მიგრაციის მასშტაბები. განსაკუთრებით ხელისშემწყობია ტრანსნაციონალური კორპორაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და სახელმწიფოთაშორისი სხვადასხვა ფორმით გამოვლენილი პოლიტიკური თუ ეკონომიკური კავშირები. საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენა ევროკავშირის გაერთიანებამ. საერთო ეკონომიკურმა ბაზისებმა და ჰარმონიული საბაზრო პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობამ, ევროკავშირის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და ფართო პოლიტიკური ავტონომიის შენარჩუნების ფონზე, გასაქანი მისცა ინტეგრაციის ფორმას, კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობით.

დანართი 1.1.3. გვიჩვენებს 2019 წლის ევროსტატის მონაცემებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიგრაციული მდგომარეობით. დეტალურად ჩაშლილ ცხრილში რიცხობრივთან ერთად პროცენტული

მონაცემებია კავშირში შემავალი სხვა სახელმწიფოებიდან ემიგრირებულთა რაოდენობრივი მაჩვენებლით.

მიგრაციის კიდევ ერთი გამოვლინებაა განვითარებად სახელმწიფოებს შორის მიგრაცია. მსჯელობის დასაწყისში რამდენიმე სიტყვით შევეხეთ აფრიკის ცენტრალური ნაწილებიდან გადაადგილებული მასების ტრაექტორიას, რომ ყოველი მიგრანტის საბოლოო დანიშნულების წერტილი არა ევროპა, არამედ აფრიკის ჩრდილოეთ ზოლი და ამ ზოლზე განლაგებული სახელმწიფოები წარმოადგენენ. მსგავსი ტიპის მიგრაციას, როგორც წესი მწვავე პოლიტიკური დაპირისპირება იწვევს, იქნება ეს საომარი მდგომარეობა და პოლიტიკური კრიზისი, თუ დევნა ან/და ტირანიული, ავტორიტარული ან ტოტალიტარული მმართველობა.

აფრიკაში, ჯერ კიდევ ბრიტანული და ფრანგული კოლონიზატორობის პერიოდში გავლებული სახელმწიფო საზღვრები, სავსებით არ მოდის თანხვედრაში მკვიდრი მოსახლეობის შეხედულებებთან. სადემარკაციო ხაზებით ორ ნაწილად გაყოფილი ტომობრივი გაერთიანებები და პირიქით, ერთ სახელმწიფო შემადგენლობაში მოქცეული ორი დაპირისპირებული კლანი ერთგვარი ნაღმის როლს ასრულებს, რომელიც პერიოდულად აქტიურდება და მწვავე დაპირისპირების სახეს ღებულობს, სწორედ მსგავს ვითარებაში, მიგრანტთა მთავარი გამოწვევა არა უკეთესი სოციალური პირობების ძებნა და კეთილდღეობაზე ფიქრია, არამედ უფრო მავტივ, უსაფრთხოებასა და დაცულობაზე ორიენტირება აღმოჩნდა [**Kvach. J. Cause of conflict in Africa. 21.9.2018. (Causes of CONFLICT in Africa ▷ Tuko.co.ke)**].

დიასპორულ ქსელებს და ოჯახის გაერთიანებას რაც შეეხება, ისევე როგორც სხვა დემოგრაფიულ საკითხებს, ხდება მასტიმულირებელი ყველა ტიპის მიგრაციული მარშრუტის და გადაწყვეტადია ინდივიდუალურ დონეზე, კონკრეტული ქეისებიდან გამომდინარე.

მცირე რეზიუმეს სახით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიგრაციის გამომწვევი მიზეზი ბევრი ფაქტორი შეიძლება გახდეს, ისევე, როგორც მიგრაციის მრვალი მიმართულება არსებობს და ინდივიდუალურია ყოველი სახელმწიფოს ყოველი

მოქალაქისთვის. გამომდინარე იქიდან, რომ თანდათან უფერულდება მკვეთრად გამოყოფილი მიზიდულობის ცენტრები, გამოიკვეთა განვითარების ხარისხის მიხედვით უნიპოლარული საბოლოო დანიშნულების პუნქტები, რომელთაც ახასიათებს ის, რასაც გამგზავნი სახელმწიფო ვერ თავაზობს. ზედაპირულად განვიხილეთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და სიღრმისეულად განხილვისთვის საჭირო იქნება კონკრეტულ სახელმწიფოზე დაყრდნობით გავაგრძელოთ მსჯელობა.

1.2. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის მასტიმულირებელი ფაქტორები

საქსტატის განმარტების საფუძველზე, გაეროს რეკომენდირებულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, დადგენილია, რომ ემიგრანტად ითვლება ნებისმიერი მოქალაქეობის მქონე პირი (ინდივიდი), რომელიც აკმაყოფილებს ორ პირობას, რომ ფლობს სახელმწიფო მოქალაქეობას და დატოვა საზღვრები ბოლო 12 თვის განმავლობაში სულ მცირე 183 დღით და მეორე შემთხვევაში, თუ საქართველო მისი მუდმივ საცხოვრებელ სახელმწიფოდ არის მიჩნეული, შესაბამისად ბოლო 12 თვის განმავლობაში 183 დღე საქართველოში ქონდა გატარებული და შემდეგ დატოვა სახელმწიფო. [**ტყეშელაშვილი შ. 30.4.2021 (2020 წელს საქართველოს მოქალაქეთა უცხოეთში ემიგრაცია განახევრდა და 43,000 შეადგინა | BM.GE)**]

ჯერ კიდევ 2014 წელს საქართველოს 88704 მიგრანტი ყავდა, საზღვარგარეთ წასული მოსახლეობის 63% 35 წელს ქვემოთ მოქალაქეები წარმოადგენდნენ [**დუშუაშვილი. თ., 07.07.2015**][10].

ძირითადად ეკონომიკური ფაქტორი ხდება მასტიმულირებელი ფუნქციის გამოვლინებისა, რომელიც შეიძლება აღვწეროთ, როგორც ადამიანის მუდმივი სწრაფვა სივრცობრივი გადაადგილების ხარჯზე მიაღწიოს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.[**მ.თორია, 2008, გვ. 160-161**]. ფუნქცია ნათლად აღწერს ბოლო ათწლეულების საქართველოს მდგომარეობას.

[10] წყარო: მიგრაცია - ქვეყნის განვითარების მასტიმულირებელი თუ შემაფერხებელი ფაქტორი? (forbes.ge)

მიგრაციული ტენდენციები მასტიმულირებელ და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფუნქციების ჭრილში, განსხვავებული რაკურსით შეგვიძლია განვიხილოთ. ვინაიდან მიმდინარე ტენდენციებით დომინანტი მიზეზი, რის გამოც მიგრაციული ნაკადები ყალიბდება, არის ეკონომიკური ფაქტორები. სოციალურ-ფსიქოლოგიური და მასტიმულირებელი ფუნქციების პრაქტიკული გამოყენება ყველაზე მეტად დამახასიათებელია განვითარებადი სახელმწიფოებიდან მიგრირებული მოქალაქეების შემთვევაში, რომელთა დანიშნულების პუნქტი რომელიმე განვითარებული სახელმწიფოა.

2018 წლის per research center-ის გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით ყველაზე მოთხოვნადი დანიშნულების პუნქტი აშშ (45,6 მლნ - ყოველი 5 მიგრანტიდან ერთი აშშ-ს ირჩევს); გერმანია 12 მლნ; რუსეთი 116 მლნ; საუდის არაბეთი 10,2 მლნ და დიდი ბრიტანეთი 8,2 მლნ [**ხაჩიძე ს. თანამედროვე მიგრაციული პროცესები გლობალიზაციის კონტექსტში, თბ.2019**]. რაც შეეხება სახელმწიფოებს რომელსაც ყველაზე მეტი ემიგრანტი ყავს, ესენია: ინდოეთი, მექსიკა, რუსეთი, ჩინეთი და ბანგლადეში.

ეკონომიკური სირთულეებიდან აღსანიშნულ მიზეზებს შორის, რაც მიგრაციას უწყობს ხელს, არის დასაქმების პრობლემა, იაფი მუშა ხელის დიდი რაოდენობით კონცენტრირება ლოკაციაზე, რაც კიდევ უფრო ამცირებს ხელფასის მოცულობას და აჩენს მწვავე კონკურენციას, რომელიც არა შესრულებული სამუშაოს ხარისხს, არამედ ანაზღაურების ნაკლებ მოთხოვნას აყენებს წინა ფლანგზე, მასიდან კადრის გამოსარჩევად. ეს ხსნის მრავალი სახელმწიფოს მიგრაციული პროცესების სტიმულირების მიზეზს. საილუსტრაციოდ ბანგლადეში საუკეთესო მაგალითია, სადაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე 1305,26 აშშ დოლარის ფარგლებშია[11], რაც საქართველოს მონაცემზე 3,58-ჯერ ნაკლებია. თუ გავითვალისწინებთ ფაქტს, რომ მოსახლეობის რაოდენობა 2019 წლის მონაცემებით 163 მლნ-ს აღემატებოდა, სახელმწიფოს ფართობი კი მხოლოდ 147.63 ათასი კმ^2.[12]

---

[11] Bangladesh GDP per capita | 1960-2020 Data | 2021-2023 Forecast | Historical | Chart (tradingeconomics.com)

[12] Bangladesh Surface Area 1961-2021 | MacroTrends

ამრიგად, მჭიდროდ დასახლებული სახელმწიფო, რომელიც საკმაო ოდენობით შრომისუნარიან რესურსს ფლობს, მეტად სტიმულირდება, მიგრაციული პროცესების რიგი ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით.

თავი II. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე გამოწვევები

2.1.საერთაშორისო მიგრაციის გამოწვევები საქართველოში

საქსტატის 2021 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, საქართველოში აქტიური მოსახლეობის, 18-65 ასაკის 1,447მლნ ადამიანია, საიდანაც 317 ათასი არ არის დასაქმებული. უმუშევრობის დონე 21,9%-ს წარმოადგენს, რაც გასული წლის მონაცემთან შედარებით 3,4% ით გაუარესებული მაჩვენებელია. 2014 წლიდან მოყოლებული - დღემდე, საქართველოში საშუალო უმუშევრობის მაჩვენებელი 20,6% ის ფარგლებში მერყეობს[13], რაც საკმაოდ მაღალი რიცხვია და დიდ გავლენას ახდენს, როგორც ქვეყნის მშპ-ს ზრდა/კლებაში, ასევე ცხოვრების დონის განსაზღვრასა და სავარაუდო პროგნოზირებაში, თუ რამდენად მიდრეკილია მსგავსი მონაცემებით დახასიათებული სახელმწიფოს მოსახლეობა, ეკონომიკური ბაზისებით გამოწვეული, მიგრაციისკენ. იმისთვის, რომ სიღრმისეულად გავაანალიზოთ საქართველოს დღევანდელი მიგრაციული პროცესები, საჭიროა გამომწვევი მიზეზების გაანალიზება, დახარისხება და უკვე იდენტიფიცირებული პრობლემების მოგვარების გზებზე მსჯელობა.

საკითხი 1991 წელს, დამოუკიდებლობის აღდგენით და მრავალწლიანი იზოლაციის შემდეგ, თავისუფალ სავაჭრო პოლიტიკაზე მოუმზადებელი გადასვლით მწვავდება. მაშინ, როცა ჩაკეტილ საზღვრებში სახელმწიფო ადგენდა რას როგორი ღირებულება უნდა ქონოდა მთლიან საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ახლა უკვე დამოუკიდებელ საქართველოს მოუხდა საკუთარი ძალებით სწრაფი რეაგირება მოეხდინა და დაეძლია ეკონომიკური სირთულეები, ისეთი, როგორიც არის: ფასწარმოქმნის პოლიტიკის გამართვა, წარმოების მიმართულებების გაძლიერება, ექსპორტზე ზრუნვა და დასაქმების ხელშეწყობა. თუმცა, გადაჭარბებული აღმოჩნდა წარმოდგენები ბორჯომისა და ქართული ღვინის საბაზრო, რეალურ ფასზე, მაშინ, როდესაც შეეჯახა მწვავე და

[13] დასაქმება და უმუშევრობა - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge)

გაცხოველებულ კონკურენციას. ასევე, გართულდა ახალი ბაზრების ძიება-აღმოჩენა-დამკვიდრების პროცესი, რაც გამოწვეული იყო მთლიანად საბჭოთა ნომენკლატურაზე მორგებული გასული ათწლეულებით და მეორე მხრივ - უცნობი გარე სამყაროს საბაზრო პროცესებზე მარეაგირებელი ნიუანსების გაუთვითცნობიერებლობით. შედეგად, გამოიფიტა საქართველოს ეკონომიკური პოტეციალი, გასხვისდა, გაიყიდა და უსახსრობით გამოწვეული მოუვლელობის გამო დაილუქა უამრავი სტრატეგიული ობიექტი, საწარმო, ქარხანა თუ დაწესებულება. საილუსტრაციოდ იმის აღნიშვნაც საკმარისი იქნება, რომ ერთ სულ მოსახლეზე მშპ[14] 2530 დოლარიდან 440 მდე დაეცა სულ რაღაც 5 წლის განმავლობაში 1990 დან 1995 წლამდე[15].

გაუმართავი იყო სახელმწიფო სტრუქტურების მუშაობის პროცესი, უკონტროლო მდგომარეობამ რიგი დამახინჯებული და საზოგადოებისთვის ზიანის მომტანი ჯგუფების გაერთიანებას შეუწყო ხელი. სახელისუფლებო დონეზეც მრავლად გაჩნდა დესტრუქციული ძალები, რამაც საბოლოოდ სამოქალაქო ომამდე მიიყვანა, ისედაც გაუსაძლის მდგომარეობაში ჩავარდნილი დამოუკიდებლობა აღდგენილი საქართველო. მალევე აფხაზეთისთვის დაიწყო ბრძოლა. სწორედ ეს პერიოდი ხდება განსაკუთრებული მასშტაბებით მიგრაციის საწყისი.

ამ და დამატებით, მიმდინარე პოლიტიკურმა დესტაბილიზაციამ ფესვი გაუდგა წლების განმავლობაში მოუგვარებელ ეკონომიკურ პრობლემებს, რაც მოსახლეობას აიძულებდა და აიძულებს დროებით ან სამუდამო ემიგრაციაში წავიდნენ, ახლობლებისა და ოჯახის წევრების სარჩენად. სხვა სახელმწიფოში დასაქმებით მიღებული შემოსავლების ალტერნატიული დანახარჯი გამგზავნი სახელმწიფოსთვის კი უზარმაზარია. ვინაიდან იკარგება რესურსი, რომლის

[14] მშპ (მთლიანი შიდა პროდუქტი)-სახელმწიფოს ტერიტორიაზე წარმოებული, როგორც ეროვნული, ასევე ინვესტიციების გზით სხვა სახელმწიფოს სარგებლობაში არსებული წარმოებათა ღირებულების ჯამური წილი, სახელმწიფოს ყოველ მოქალაქეზე, პირობითად გადანაწილებული. [Investopedia.com, brock. T. 25th of Dec. 2020]

[15] Georgia GDP per capita | 1965-2020 Data | 2021-2023 Forecast | Historical | Chart (tradingeconomics.com)

ეფექტური გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა, საკმარისი ბერკეტი რომ გააჩნდეს ადამიანური რესურსის სამართავად საქართველოს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მიგრაციის კვლევის ცენტრის ფარგლებში, ნათია ჭელიძის 2006 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში სწორედ პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართულ რეალობაზეა ყურადღება გამახვილებული და იმ ფაქტებზეა აქცენტი გავლებული, რამაც გამოყო იმ პერიოდის საქართველოს მოსახლეობიდან პოტენციური ემიგრანტების სეგმენტრებული ტენდენცია. ყურადღება გამახვილებულია იმ პერიოდის ქართულ მენტალიტეტზე: ქალისა და მამაკაცის შრომითი ექსპლუატაციის დივერსიფიკაციას, დაშვებითობასა და თითქოსდა დოგმის სწრაფი ცვლილებების საზოგადოებრივ გავლენაზე. იმავე პერიოდში წარმოებული კვლევით დადგინდა, რომ 40%-ს ემიგრანტებისას სწორედ ქალი წარმოადგენდა [**ჭელიძე. ნ., თბილისი 2006**][16]**.** დღესაც მაღალია ქალბატონების რიცხვი რიგ ევროპულ, სამეზობლო და შორეულ აშშ-ს სახელმწიფოშიც კი, ვინაიდან მაღალია მოთხოვნა ოჯახის დამხმარის, დამლაგებლის ან ძიძის პოზიციებზე, სადაც სასურველ კანდიდატად სწორედ რომ ქალბატონები არიან განხილულები. მიმღები სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის მსგავს პოზიციებზე შედარებით დაბალი ანაზღაურება და კარიერულ წინსვლაზე ორიენტირება საქართველოს მსგავსად ბევრ სხვა განვითარებად სახელმწიფოდან წარმომადგენლებს აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ დროებითი სამუშაო ადგილები და გზავნილების საშუალებით, მშობლიურ სახელმწიფოში განახორციელონ ტრანზაქციები.

ერთდროულად რამდენიმე მიზანს ემსახურება 2021 წლის იანვარში გერმანია-საქართველოს შორის დადებული შეთანხმება - გერმანიის აგრალურ სექტორში ლეგალურად, რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის დასაქმება.

საიდუმლოს არ წარმოადგენს ფაქტი, რომ ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის დიდი წილი სწორედ ემიგრანტების ტრანზაქციებით

[16] ivane javaxiSvilis saxelobis Tbilisis saxelmwifo universiteti (nplg.gov.ge)

ნარჩუნდება. კორონა ვირუსის ნეგატიურმა ეფექტმა უზარმაზარი გავლენა იქონია ეკონომიკური პრობლემების გამწვავებაზე. მათ შორის, ქართული ლარის მსყიდველუნარიანობის შემცირებაზე. შესაბამისად მცდელობა სახელმწიფოს მხრიდან, მსგავსი დროებითი დასაქმების პროგრამების სტიმულირებით შეაფერხოს ინფლაცია, დავის საგანი ხდება. გარდა ვალუტისა, მსგავსი მიდგომით საქართველო ხელოვნურად ამცირებს უმუშევართა რიცხვს, რაოდენობრივად კლების საფუძველზე, რომელიც ერთი მხრივ ილუზია და რეალობისგან გაქცევის მცდელობა, მეორე მხრივ კი გრძელვადიან პერსპექტივაში ვერ ახერხებს რესურსების სწორ გადანაწილებას და მის მართვას. სარგებელი გერმანული მხარის შემთხვევაში გაცილებით მეტი შეგვიძლია ჩამოვთვალოთ, ვინაიდან, ქართველი მუშახელით დაკავებული პოზიციებიდან გამოთავისუფლებული ადგილობრივი ადამიანური რესურსების გაცილებით ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობა ეძლევა. გარდა ამისა, მსგავს შემთხვევებში, კლებულობს პროდუქციის თვითღირებულებაც, იაფი მუშახელის დამსახურებით, მეწარმეს კი შესაძლებლობა უჩნდება დაზოგილი რესურსები გამოიყენოს, როგორც დამატებითი შესაძლებლობა, შევიდეს კონკურენციაში და დაწიოს სარეალიზაციო ფასი, ასევე, შესაძლებელია მიიღოს მეტი შემოსავალი, ფასში ცვლილების შეტანის გარეშე.

გარდა მსგავსი ტიპის ორმხრივი და დროებითი შეთანხმებებისა, მიგრაციულ პროცესებზე დიდი გავლენა იქონია შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის[17] შესაძლებლობამაც.

დიდი გამოწვევა აღმოჩნდა თავშესაფრის მაძიებელი მოქალაქეების მაღალი მაჩვენებელი. უვიზო მიმოსვლის ვადების დარღვევით, 2018 წელს, უვიზო მიმოსვლის ამოქმედებიდან მალევე, 2017 წელთან შედარებით, დაფიქსირდა საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა 73%-იანი ზრდა

[17] უვიზო მიმოსვლა შენგენის ზონის ტერიტორიაზე, უვიზოდ მოგზაურობის შესაძლებლობას ევროკავშირში, აძლევს 22 წევს, 4 არაწევრ და 4 კანდიდატ სახელმწიფოს. 2017 წლის 8 მარტს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნებული #539/2001 რეგულაციის ცვლილების საფუძველზე ევროკავშირის საბჭომ საქართველო ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მქონე ქვეყნების სიაში გადაიყვანა.

ევროკავშირის სახელმწიფოებში, ძირითადად კი გერმანიაში, საფრანგეთსა და საბერძნეთში.

ამავე წელს საგრძნობლად გაიზარდა ევროკავშირის მხრიდან თავშესაფრის მოთხოვნაზე საქართველოს მოქალაქეებისთვის უარყოფითი პასუხის რიცხვიც, რომელმაც 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს 57% იანი ზრდა დააფიქსირა. თავშესაფრის მოთხოვნის მზარდმა ტენდენციამ, გარკვეული პრევენციული ღონისძიებები გამოიწვია ბრიუსელში. სასწრაფო წესით იქნა აღიარებული 2018 წელშივე ევროპის 15 სახელმწიფოს მხრიდან საქართველო უსაფრთხო სახელმწიფოდ, რამაც სამართლებრივ ჭრილში ბევრ მიგრანტს ავტომატურად დაუბლოკა თავშესაფრის მოთხოვნის ლეგიტიმაცია. **(დანართი 2.1.1.** შსს-ს გავრცელებულ ცნობაზე დაყრდნობით, გვაძლევს ინფორმაციას ევროკავშირიდან საქართველოში დეპორტირებული მოქალაქეების რაოდენობაზე).

პირველ თავში აღნიშნული მიგრაციის მასტიმულირებელი, მრავალი მიზეზიდან, საქართველოს შემთხვევაში გადამწყვეტი როლს მიგრაციის პროცესების გაღრმავებაში, უმეტესად ეკონომიკური ფაქტორი ასრულებს:

* დასაქმების პრობლემა, სადაც ვლინდება დაბალი კვალიფიკაციის მქონე, სამუშაოს მაძიებელი მოსახლეობის დიდი ნაწილი.

* ცოდნასა და გამოცდილებასთან რელევანტურ სამუშაო ადგილებზე გაცემული დაბალი ხელფასები.

* მართველი ორგანოს, ან თუნდაც მაღალი რგოლის მენეჯმენტის მხრიდან არასამართლიანი მობყრობა, გავრცელებული ნეპოტიზმი და არაკონკურენტული გარემო.

* ფინანსური პრობლემები: საბანკო თუ სალიზინგო ვალდებულებები.

* მეტის მოთხოვნილება და ინდივიდუალური საჭიროება, ვიდრე გამომუშავებული-მიღებული ფინანსური რესურსებია. შედეგად, ვღებულობთ უწყვეტი, შრომითი მიგრაციული ნაკადის მნიშვნელოვანი ნაწილის, მსგავსი საფუძვლებიდან გამოწვეულ სოციალურ უკმაყოფილებას.

გარდა ეკონომიკური ფაქტორისა, მაღალია ოჯახის გაერთიანების მიზნით მიგრაციის ნიშნები. მსგავსი შემთხვევები მეორეხარისხოვან დონეზე მაინც ტოვებს ეკონომიკურ ბაზისებს, როგორც მიგრაციის გამომწვევ მიზეზებს იმ ოჯახის წევრისთვის, რომელმაც პირველმა დატოვა სამშობლო. რამდენიმე დამატებითი მახასიათებელი შეიძლება ერთვოდეს თან ეკონომიკურ ფაქტორს - სხვადასხვა დროს, სხვადასხვაგვარად გამოვლინებადი და მწვავე საკითხებისგან დაკომპლექტებული. მიზეზებს შორის კი არის: პოლიტიკური არასტაბილურობა, და უსაფრთხოების დაცვის მიზნით მიგრაციისკენ გადადგმული ნაბიჯი; სამართლევრივი ჭრილით უსამართლობა და კანონის უზენაესობის კუთხით ხარვეზები; განვითარების და მეტად პროდუქტიული, კარიერული წინსვლის, შესაძლებლობები და სხვა.

დამახასიათებელი სხვა, განვითარებადი სახელმწიფოს მსგავსად, საქართველოს შემთხვევაშიც ცხადია ის ძირითადი მიზეზები, რაც იწვევს მიგრაციის მაღალ მაჩვენებელს და შედეგად ვღებულობთ დემოგრაფიულად რაოდენობრივ შემცირებასთან ერთად, რესურსების დაკარგვას, რომლის ეფექტური გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა, რომ არსებობდეს პროცესის სისტემურად მართვის გეგმა.

დინებას მიშვებული პროცესი ვერ შეჩერდება დამხმარე ჯებირებისა თუ ბარიკადების მშენებლობით, საჭიროა თავად კალაპოტის მართვა. საწყისი, მოსამზადებელი ეტაპი ანალოგიების გაანალიზებას და პარალელების გავლებას უკავშირდება იმ სახელმწიფოებთან, რომელთაც დაძლიეს გამოწვევები და დადებითი მიგრაციული სალდო ახასიათებთ.

2.2.ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციული პროცესების შედარებითი ანალიზი (საქართველო, ისრაელი, აშშ)

ისტორია გვასწავლის და გვაძლევს მაგალითს შემდეგი სწორი სვლის გასაკეთებლად. ამ შემთხვევაშიც, საქართველოსთან პარალელების გავლება ისრაელის მაგალითზე შეგვიძლია. ვინაიდან საერთო დამახასიათებელია

აღმავლის და დაცემის საფეხურები, ძლიერი სახელმწიფოდან დაშლილ ერთეულებამდე გარდაქმნის პრიმატი, მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან გაქრობის და შემდეგ კვლავ აღორძინების ტანდემი ვლინდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვა სახელმწიფოებისგან განსხვავებით, მეტად იდენტური სასიცოცხლო ციკლით ხასიათდება.

ისრაელმა დამოუკიდებლობის ადღდენიდან (1948 წლიდან)[18] მალევე შეძლო უსაფრთხოებისა და თავდაცვითი სისტემის მოწესრიგება. ეკონომიკის გამართვა და გაძლიერება. რათქმაუნდა დიდი წვლილი მოკავშირე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და იქ მყოფმა ძლიერმა ლობისტურმა ჯგუფებმა შეიტანეს, თუმცა დიდი იყო წინაღობაც, გაუთავებელი და მწვავე კონფრონტაცია ყველა მეზობელთან, განსაკუთრებით კი პალესტინასთან, რომელიც მრავალი ათწლეულია გრძელდება. რამდენიმე მიზეზი შეგვიძლია დავასახელოთ ისრაელის წარმატებული მართვის პრაქტიკაში, გარდა ფინანსური მხარდაჭერისა. აქ მნიშვნელოვანწილად ვლინდება ეროვნული სულისკვეთება, ისრაელი ერთ-ერთი ყველაზე მეტად ნაციონალური იდეებისა და წარმოდგენების მქონე სახელმწიფოა. რომელიც პირველ რიგში სახელმწიფოებრივ ინტერესს აყენებს, რომელიც თითოეული ინდივიდის მითხოვნილებას გამოხატავს. მსგავსი სულისკვეთება და ერთულოვნება შესამჩნევია სახელმწიფო მართვის სადავეების მქონე მთავრობის ყოველ გადაწყვეტილებაში, რომლის ლეგიტიმულობაც მნიშვნელოვნად მაღალია, იქნება ეს ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი თუ სხვა ტიპის გადაწყვეტილება. შესაბამისად მაღალ დონეზეა განვითარებული პოლიტიკის მეცნიერება და ეფექტური კომუნიკაციები. თუმცა მხოლოდ პოლიტ. მეცნიერება ვერ შეძლებდა უამრავი გამოწვევის და დაბრკოლების სწორი რაკურსით წარმართვას. ამრიგად მაღალია საჯარო სფეროში კვალიფიციური კადრების რიცხვი, საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში ხდება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება. ყველაფერი ეს კი,

[18] Independence Day in Israel in 2022 | Office Holidays

როგორც აღვნიშნეთ თანხვედრაში მოდის მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესებთან.

მაღალი კვალიფიკაცია კეთილსინდისიერ ქმედებებს არ იწვევს რიგ შემთხვევებში, კიდევ ერთი აუცილებლად ასათვისებელი მაგალითი არაკორუმპირებულობა, მინიმალური ნეპოტიზმი და ობიექტურობაა. გარდა ამისა სახელმწიფო სადავეები არ უნდა ხდებოდეს ფართო შესაძლებლობების და სარგებლის მიღების წყარო. პოლიტიკოსი უნდა აანალიზებდეს, რომ არის დაქირავებული მუშახელი, საზოგადოების მიერ ნდობით აღჭურვილი პირი და მან ეს ნდობა უნდა გაამართოლოს სასიკეთო და აქტუალურ საკითხებზე მუშაობით.

განუწყვეტლივი კონფრონტაცია და პოლიტიკური კრიზისი, გარდა იმ გვერდითი ეფექტებისა, რაც დაკავშირებულია ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემების გაღრმავებასთან, ასევე მოქმედებს სახელმწიფოს იმიჯზე მსოფლიო მასშტაბით და კლებულობს ნდობისა ხარისხი. საბოლოოდ კი, რეალიზმის სკოლას თუ დავესესხებით, სახელმწიფო გადაიქცევა დაბალ ღობედ, რომელსაც შესაძლოა ბევრი რამ კადრო დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად და იცოდე, რომ მისგან პასუხის დაბრუნების ალბათობა იმდენად დაბალია, რამდენადაც სახელმწიფოს თავდაცვითი შესაძლებლობა. საერთაშორისო დონეზე მორალური დაქვეითება კი ავტომატურად იწვევს ინვესტიციების დაკარგვას, ვიზიტორების მხრიდან ნაკლებ ინტერესს, პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ გაერთიანებებში გაწევრიანების შანსების დაქვეითებას და საბოლოოდ მოჯადოებული წრე იკვრება, რაც მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეების ფინანსურ შესაძლებლობებს აუარესებს და ყალიბდება მიგრაციის გადაწყვეტილება.

პოლიტიკური კრისიზის კიდევ ერთი გვერდითი ეფექტი იმ არასწორად გადანაწილებული ადამიანური რესურსების ზედაპირზე ამოტივტივებაა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მარგინალურ საქმიანობას ეწევიან პოლიტიკური გადაწყვეტილებებით პოლიტიკოსის ფარდას ამოფარებულია, რა დროსაც ნათლად იკვეთება მათი ძალაუფლებისადმი ლტოლვა. მსგავსი

პრაქტიკული ხშირი პრეცედენტი მსოფლიოს მრავალ წამყვან სახელმწიფოს ტრიბუნებზეც კი არის შესამჩნევი.

ჩამოთვლილი რიგი გამოწვევების გარშემო მუშაობა და მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა უწყვეტი პროცესია ისრაელისთვისაც. არსებული მოცემულობიდან გამომდინარე რიგი საკანონმდებლო ინიციატივების დამუშავება და სხვადასხვა ტიპის რეკომენდაციებისა თუ მარეგულირებლების შემოღებით მუდმივად ტანდემში მოდის კანონმდებლობა მიმდინარე დღის წესრიგთან.

ერთ-ერთი უმთავრესი, ისრაელისგან მისაღებ მაგალითებს შორის, პატრიოტიზმის ამაღლებული განცაა. პატრიოტიზმი ამ შემთხვევაში შეგრძნების ნაწილია, რომელიც არსებულ დღის წესრიგზეა დაფუძნებული. მოქალაქეს სამშობლოსადმი სიყვარული განსაკუთრებით მაშინ უმძაფრდება, როდესაც ხედავს მის სიძლიერეს, გრძნობს თავს დაცულად და უსაფრთხოდ. იცის რომ მის მშენებლობაში წვლილი მიუძღვის და უფრთხილდება მონაპოვარს. ამრიგად, კვლავ რეალიზმის სკოლის კართან მოგვიყვანა მსჯელობამ, რომელიც სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ სიძლიერის მნიშვნელობაზე საუბრობს. თუმცა 21-ე საუკუნეში განსხვავებული რაკურსით ფორმულირებული რეალიზმის სკოლის მოსაზრებებიც გავრცელდა, რომ დღეს აუცილებლად გადამწყვეტი არ არის სამხედრო სიძლიერე. ძლიერია სახელმწიფოც სუსტი თავდაცვითი ძალებით, თუმცა ძლიერი ეკონომიკით. მიუხედავად ამისა, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა ეკონომიკურად შეძლებული სახელმწიფო ახდენს რესურსების დიდი რაოდენობით მობილიზებას სამხედრო სიძლიერის უზრუნველყოფისთვის. ტექნიკური და ტექნოლოგიური აღჭურვილობის გასაუმჯობესებლად, ტაქტიკური ოპერაციების ეფექტურობის ასამაღლებლად.

პროცესის მთავრი მიზანია სახელმწიფომ გაზარდოს უსაფრთხოების, სანდოობისა და სტაბილურობის განცდა და გარანტი, როგორც მოსახლეობისთვის და ინვესტორებისთვის, ასევე იმ ადამიანური რესურსებისთვის, რომელიც საკუთარი შესაძლებლობების გამოყენებას

საკუთარი სახელმწიფოს საზღვრის გარეთ გეგმავს. ამრიგად მიმზიდველი ხდება მოცემული სახელმწიფო მათთვის და მიმზიდველი ხდება თავად აღნიშნული სახელმწიფოს მოსახლეობისთვის, რომლისთვისაც, მიგრაციული ტენდენცია უკვე ნაკლებაქტუალურია.

ისრაელის შემთხვევა, ყველაზე ცხადად აღსაქმელი მაგალითია, რეალიზმის სკოლის სწორი რაკურსისა, რომელიც მიუხედავად საომარი მდგომარეობისა არ ხასიათდება ადამიანური რესურსების მასობრივი გადინებით, უფრო მეტიც, მაღალი თავდაცვითი სისტემის და ძლიერი არმიის დამსახურებით მზარდია მოთხოვნა ისრაელში, როგორც რეპატრიაციაზე[19], ასევე უცხო ქვეყნებიდან სხვა ეთნიკური ჯგუფების მიგრაციაზე.

2009 -2019 წლებში მსოფლიოს მასშტაბით მიგრირებული ისრაელის შობადობის რიცხვი 5% ით შემცირდა[20], რაც რეტაპრიაციის პროცესში, ისრაელის ემიგრანტის რიცხობრივმა კლებამ განაპირობა. 2019 წლის მონაცემებით ისრაელი ემიგრანტების 49% ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ცხოვრობს. ასევე, 2019 წელს დაფიქსირდა სხვადასხვა გარემო ფაქტორებით ახსნილი 66000 აპლიკანტისთვის ისრაელის სახელმწიფოში ლეგალურად, დროებით დარჩენის ნებართვის გაცემა.

იდეალურად აწყობილი ისრაელის მიმზიდველი სახელმწიფოს განვითარების მიმდინარე დროის ხაზი: იღბალი თუ წინასწარ განჭვრეტილი გარდაუვალი შედეგი, ერთადერთ ბაზისს ექვემდებარება - ხალხის ნებას.

Israel was not created in order to disappear- Israel will endure and flourish. It is the child of hope and the home of the brave. It can neither be broken by adversity nor demoralized by success. It carries the shield of democracy and it honors the sword of freedom. – [**John F. Kennedy, ნიუ-იორკი, 1960წ.**]

სწორედ იმ მოაზროვნე და მაღალკვალიფიციურმა კადრებმა შექმნეს ანგარიშგასაწევი სახელმწიფო, რომელზეც დიდი ხნის განმავლობაში არ

---

[19] რეპატრიაცია - იმ პირთა დაბრუნება, მოქალაქეობის, მუდმივი საცხოვრებლის ან წარმოშობის ადგილას, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა გამო სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. წყარო: ადამიანის უფლებათა ლექსიკონი [საყვარელიძე ფრიდონი; რედ: ანა ჭაბაშვილი] - თბ, დასი, 1999 – 128გვ.

[20] წყარო: International Migration Outlook 2020; 44th edition; OECD 2020 - 369გვ.

ცხრებოდა საუბრები მსგავსად კენედისა, რომელიც განსაკუთრებული აღფრთოვანებით საუბრობდა ისრაელის პოტენციალზე, მიზნებსა და შესაძლებლობებზე. ისრაელის სამხედრო თავდაცვისუნარიანობის კუთხით აუცილებლად ასაღნიშნია აშშ-ის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ყოველწლიური დახმარება 3,8 მლრდ ამერიკული დოლარის ოდენობით[21], რომელიც 2016 წელს, ჯერ კიდევ ობამას ადმინისტრაციამ დაადასტურა, ხოლო 2018 წლიდან მემორანდუმი ძალაში შევიდა. თუმცა ეს არ იყო პირველი კონტრიბუცია ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან, ისრაელისთვის. 50-იანი წლებიდან, საბჭოთა გავლენის შესასუსტებლად რიგი ღონისძიებებით წამოწყებული, მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობით ხასიათდება სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა.

ისრაელის მაგალითიდან ირკვევა, რომ მიგრაციის პროცესის მართვა ეროვნულ უსაფრთხოებაზე, ნაციონალიზმსა და საერთო იდეოლოგიის გარშემო გაერთიანებაზე იყო დამოკიდებული. ეს იყო მასიური იმიგრაცია და სახელმწიფოს ნოლიდან მშენებლობის პრეცედენტი, საუკეთესო მაგალითი საერთო იდეოლოგიის გარშემო გაერთიანებისა და რაც ყველაზე მთავარია, ამ იდეოლოგიის მუდმივ სრულყოფაზე ზრუნვის წუყვეტ პროცესად ქცევა. პარალელურად განვითარდა მეცნიერებატევადი დარგები, ისრაელმა 2000-იან წლებში წარმატებით მოახერხა კომპიუტერების, სამედიცინო აღჭურვილობისა და აპარატურის, ელექტრონული, ქიმიური და ლითონდამუშავებული მრეწველობის განვითარება. მშპ 2019 წლის მონაცემებით 43 592 აშშ დოლარს უდრიდა, რაც გასული წლის ანალოგიურ წელთან შედარებით 4,49% მაღალი მაჩვენებელია. მზარდი ეკონომიკა, სახელმწიფოს უსაფრთხოების დაცულობის მაღალი სტანდარტები და ცხოვრების მაღალი დონე, პალესტინასთან სამხედრო კონფლიქტის მიუხედავად, მაინც დადებით მიგრაციულ ტენდენციებს აფიქსირებს.

ისრაელის მიღმაც შეგვიძლია ვისაუბროთ უარყოფითი მიგრაციული პროცესების მაპრევენცირებელ ღონისძიებებზე. მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ

[21] წყარო: The frontier post – US military aid and Israel, published: 20/5/2021

ერთმანეთისგან პოტენციური საფრთხის წინასწარი პრევენცია და უკვე დღის წესრიგში დამდგარი გამოწვევა, რასაც სწორი მართვა ჭირდება. ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო მოუმზადებელია მიგრაციულ პროცესების ზრდის წინაშე, რადგან პროცესი ჯაჭვური კავშირის ნაწილია და მრავალი ასპექტი ხდება გამწვავების საბაბი: პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, კლიმატი, მორალური და სულიერი მოტივები, როგორც ცალ-ცალკე ასევე კოლექტივირებული ბაზისია პროცესის მასშტაბის განსაზღვრისას.

ყველა სახელმწიფოს აქვს გაწერილი გეგმა, როგორ უნდა იმართებოდეს მიგრაციული ნაკადები. გარდა გადინებისა ბუნებრივია სახელმწიფოს ახასიათებს მიგრანტების მიღების ტენდენციაც. შესამაბისად წინასწარ დგინდება ინდივიდის დონეზე, ვის რა დანიშნულებით, რამდენი ხნით და რა ვალდებულებების შესრულებებზე პასუხისმგებლობის აღებით მოუწევს სტუმრობა მიმღებ სახელმწიფოში. ბევრი განვითარებული სახელმწიფოსგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებული შტატები ლიდერია ყოველწლიურად მიგრანტთა ნაკადების მიღებით, უწყვეტი პროცესია აშშ-ში ნატურალიზაცია, მოქალაქეობის მიღება, სხვადასხვა სტატუსით სახელმწიფოს ტერიიტორიაზე შესვლის უფლების მოპოვება და ინტეგრაცია. აშშ-ს მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (**State.gov**)[22]-ზე გამოქვეყნებული მიგრაციის შესახებ, მოკლე მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მასშტაბები საკმაოდ მაღალია და მოქალაქეების რიცხვი რომელიც აშშ-ის რიგებს ემატება წელიწადში მილიონებს აღწევს.

ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი ერთ-ერთი იმ უნიკალურთაგანია, რომლის მიგრაციული ბუმიც 1600-იანი წლებიდან დაიწყო. მიზეზი სხვადასხვა იყო, ძირითადი კი კოლონიალისტური იდეოლოგიით გაჯერებული წამყვანი ევროპული სახელმწიფოები, თავისუფალი და ჭარბი რესურსების გამოყენების იაფი შესაძლებლობა; პილიგრიმებისთვის ეს რელიგიური თავისუფლების შესაძლებლობა იყო; ზოგისთვის ახალი იმედების და შესაძლებლობების სამყარო. სწორედ აღნიშნულმა მრავალფეროვნულმა მიზნებმა გააერთიანა ახალგაზრდა სახელმწიფოს იდეოლოგია და მისი

[22] State.gov: International Migration - BUREAU OF POPULATION, REFUGEES, AND MIGRATION

მშენებლობის ერთადერთი სწორი რაკურსი გამოკვეთა. დღემდე ამერიკის შეერთებული შტატები ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ სახელმწიფოდ ითვლება მისი ხისტი და კომპლექსური პოლიტიკით. 1789 წლიდან მოყოლებული კონსტიტუციაში მხოლოდ 27 ცვლილება შევიდა. მნიშვნელოვანი იყო მე-13 და მე-14 ცვლილებები, რომლის მიხედვითაც გაუქმდა მონობა და განიზაზღვრა მოქალაქის ცნება[23]. 1865-1868 წლებიდან მართალია დისკრიმინაციული პრობლემები დღის წესრიგში კვლავ რჩებოდა, თუმცა აქტიურად იზრდებოდა მიგრანტების რიცხვი სხვადასხვა კონტინენტებიდან.

აშშ-ით დაინტერესება გამოწვეული იყო სწრაფი ინდუსტრიალიზაციითაც, რამაც ხელი შეუწყო კერძო სექტორის განვითარებას და მშპ-ს დიდ მოცულობას. ყურადღება დაეთმო განათლების საკითხს და კადრების გადამზადების პრაქტიკას. განათლების სფეროში მაღალი გადასახადები ავტომატურ სელექციას იწვევდა, რაც ზრდიდა მაღალკავლიფიციურობის ხარისხს და უნივერსიტეტის დიპლომიც მხოლოდ ფურცელს არ წარმოადგენდა, ეს იყო გარანტი რეალურად მიღებული ცოდნისა.

სწორედ მაღალკავლიფიციური კადრები ქმნიან და აყალიბებენ, მენეჯმენტის სხვადასხვა დონეზე სამოქმედო სწორ გეგმებსა და ხედვებს. მაქსიმალურად სწორი პროგნოზირების უნარი, იქნება ეს საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო, ჰუმანიტარული თუ ტექნიკური მიმართულებების კუთხით ამცირებს არასწორი რაკურსის არჩევის რისკებს და სახელმწიფო, ყოველი მსგავსი მენეჯერის დონეზე მიღებული გადაწყვეტილებით, ერთიანობაში, ყალიბდება ძლიერ ერთეულად. რათქმაუნდა მნიშვნელოვანია თითოეული ეკონომიკური პროცესის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, საფინანსო, საგადასახადო, უსაფრთხოების კუთხით მიღებული პროექტები, რომლის იმპლემენტაციაც უკვე სახელმწიფო ორგანოებს ევალება. ხდება ხელის შეწყობა სტაბილური და სამართლიანი პროცესების სამართავად. ამრიგად განსაკუთრებით მაღალია სამთავრობო სექტორში, რაც შეიძლება ნაკლები ლაფსუსი და ხარვეზი გაიპაროს, იქნება ეს არაკომპეტენტური პოლიტიკოსი თუ

[23] Amending the U.S. Constitution (ncsl.org)

მენეჯერული უნარების არ მქონე კადრი, სისტემა მათ ავტომატურად გაფილტვრას ახდენს, ისე რომ ნაკლებია მათგან გამოწვეული ზიანი სახელმწიფოს მიმართ.

სწორედ სახელმწიფო მართვის სადავეებთან ყოფნისას ხდება იმ გადაწყვეტილებების მიღება, რაც რიგ საკითხებს აგვარებს ან ამწვავებს, მსგავსად მიგრაციული პროცესებისა.

მეტად საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების უახლესი პერიოდის პოზიცია მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით. დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პერიოდში დაიწყო მექსიკის საზღვარზე მასიური ბარიერების მშენებლობა, რაც აფერხებდა არალეგალურად აშშ-ს ტერიტორიაზე მოხვერდრის შანსებს ლათინური ამერიკისა და სამხრ. ამერიკის რიგი სახელმწიფოებიდან. თუმცა საიდუმლოს არ წარმოადგენს ფაქტი, რომ აშშ უარყოფითი შობადობის სალოდოს დაბალანსებას მზარდი მოსახლეობის რიცხოვნობის პირობებში, სწორედ რომ მიგრანტების ხარჯზე ახერხებს. სახელმწიფო რეგულაციები არალეგალის შრომითი რესურსის გამოყენებას არ კრძალავს, თუმცა მიზერული ანაზღაურების სანაცვლოდ მიგრანტის მიერ მუშაობის დაწყება საზოგადოებრივ დაძაბულობას იწვევს სახელმწიფოს უმუშევრობის დონიდან გამომდინარე, სამსახურის დაწყების შანსის დაკარგვის საბაბით. იკვეთება ნაციონალური კუთვნილებიდან გამომდინარე დისკრიმინაციის ნიშნები. (2019 წლის მონაცემებით აშშ-ის უმუშევრობის დონე 3,68% შეადგენს[24]).

განვითარებული სახელმწიფოს დიდი ნაწილი მიგრირებული დაბაკლვალიფიციური რესურსების გამოყენებას საკმაოდ ეფექტიანად ახდენენ. ვინაიდან დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ ხდება მათი ყველაზე მეტად უპერსპექტივო მიმართულებებზე დასაქმება, რა დროსაც ხდება მოცემულ პოზიციებზე დასაქმებული ეროვნული სამუშაო ძალის გამოთავისუფლება და მათი გაცილებით ეფექტური გამოყენება. აშშ-ის შემთხვევაში კომპლექსურობას მატებს კვალიფიციური კადრების მიზიდვის ტენდენციაც. მაღალი კონკურენცია

[24] წყარო: macrotrends.net / U.S. Uunemployment Rate

და წარმატების მიღწევის თანაბარი შანსი აშშ-ს მომგებიან პოზიციაში აყენებს, ხდება გამოცდილი, კომპეტენტური და შრომისუნარიანი კადრების აკუმულირება და რესურსების სწორი გადანაწილება-მართვა, მეორე მხრივ მიგრანტების შრომითი რესურსების გამოყენებით იგი ახერხებს იმ კაპიტალის გამოყენებას, რის განვითარება-გადამზადებაშიც ფული არ დაუხარჯავს (იგულისხმება განათლების, ჯანდაცვის თუ სხვა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები), გარდა ამისა, კვალიფიციური თუ შავი სამუშაოს შემსრულებელი ადამიანური რესურსი პირველი დგას რიგში სამსახურიდან გასაშვებ კანდიდატებს შორის, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად სახელმწიფოს მუდმივად გამოთავისუფლებადი სამუშაო ადგილები გააჩნია, საიდანაც დროებით სარგებელს ღებულობს, იქამდე, ვიდრე ამის საჭიროებაა.

ინდუსტრიალიზაციის საკითხს რომ დავუბრუნდეთ, წარმატებული აღმოჩნდა ამერიკაში მრავალი კორპორაციის მცდელობა წარმოება გაეტანათ სახელმწიფო საზღვრებს გარეთ, განვითარებად სახელმწიფოებში, სადაც შეძლებდნენ მასშტაბის ეკონომიის მიღწევას, პერსონალისა და იჯარის შედარებით ბიუჯეტური დანახარჯებით, გარდა ამისა გაიზრდებოდა გაყიდვები აშშ-ს საზღვრებს გარეთ და გაცილებით გამარტივდებოდა ლოჯისტიკური საკითხი, თუ მაგალითად წარმოება ინდონეზიაში ექნებოდა და სასურველი ბაზარი აზია იქნებოდა.

Dell, Nike, Converse, Levis, Gillette, Ray Ban, Ford, Chevrolet ის მცირე ჩამონათვალია, რომელთაც წარმოება ბოლო ათწლეულებში გადაიტანეს უმეტესად ლათინური ამერიკისა და აზიის ტერიტორიაზე.

წარმოების ინტერნაციონალიზაციიდან სამწუხაროდ ვერ შევძლებთ დღევანდელ ქართულ გამოწვევებზე შესაბამის რეაგირებას. თუმცა კიდევ ერთხელ რომ გავუსვათ ხაზი სახელმწიფოს უსაფრთხოების საკითხს, აშშ ისრაელის მსგავსად ერთ-ერთი ანგარიშგასაწევი მაგალითია. **დანართი 2.2.1.** მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით macrotrends.net-ის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს ასახავს, სადაც მოცემულია აშშ-ს თავდაცვის კუთხით, ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ოდენობას და მისი კავშირი

მთლიან შიდა პროდუქტთან. აშკარად იკვეთება ბალანსი ბოლო ათწლეულებში, რომ ბიუჯეტიდან გამოყოილი ხარჯები თავდაცვისა და შეიარაღების მიმართულებით მშპ-ს 3-6% ის ფარგლებში მერყეობს.

ამერიკის შეერტებული შტატებისა და ისრაელის მაგალითებმა გვიჩვენეს, რომ მიგრაციული პროცესების სამართავად პირდაპირი ინტერვენცია კონკრეტული მიმართულებით არაეფექტურია და რომ საკითხზე ზრუნვა პროცესის გამომწვევი მიზეზების გარშემო დაგროვებული გამოწვევების დაძლევით უნდა მოვახერხოთ. ამრიგად, გამოწვევებს შორის ამოტივტივდა სახელმწიფოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიძლიერეზე ზრუნვის აუცილებლობა, რაც მიგრაციული, მიზიდულობის ცენტრის გადაწონვას გამოიწვევს და ჩამოყალიბდება ახალი ცენტრის პრეცედენტი. ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერე წარმომაგდენლობითი დემოკრატიის პირობებში დამოკიდებულია ამომრჩევლის ბრძნულ გადაწყვეტილებაზე. საჯარო სექტორში წარმომადგენლობითი ძალის ფორმირება და მისი ეფექტურობა მაღალკვალიფიციურობასთან რომ არის დაკავშირებული, ორივე სახელმწიფოს მაგალითით გახდა ცხადი. პირადი პოლიტიკური ინტერესები და ძალაუფლებისადმი ლტოლვა ამოცნობადი უნდა გახდეს თითოეული ამომრჩევლისთვის, ამრიგად, ორმაგად დაკავშირდა საკითხის მოგვარების გზა განათლების სისტემაში არსებულ ხარვეზებთან.

ყურადღება გამახვილდა რეალიზმის სკოლის მოძღვრებასთან, რომ სახელმწიფოს სიძლიერე, მისით დაინტერესება და კონკურენტული შიში გამოწვეულია სამხედრო თავდაცვითი სიძლიერით, გამართული ტექნოლოგიური აღჭურვილობით, დაზვერვის და კონტრ-დაზვერვის სამსახურების ეფექტურობით, მინიმუმამდე დაყვანილი კორუფციით, ნეპოტიზმითა და კრიმინალის დონით. აქვე ყურადღების გამახვილებაა საჭირო თავდაცვითი უწყებების რაობაზე, რომ ეს არის სახელმწიფოს შავი ხვრელი, რომელიც პირდაპირი გზით სარგებლის მომტანი არ არის ფულადი სახსრების სახით, რომ მისი მთავარი მახასიათებელი სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილის ათვისებაა, საჭიროების შემთხვევაში, უწყების მზაობის

შესანარჩუნებლად, რათა შეასრულოს ერთადერთი დანიშნულება, დაიცვას სახელმწიფო შიდა და გარე მტრებისგან. თავიდან აირიდოს დესტაბილიზაცია და კრიზისი.

ხაზი გაესვა გამართულ და მიუკერძოებელ სასამართლო სისტემას, მარეგულირებლის და მაკონტროლებლის ფუნქციების გადახვევის გარეშე შესრულებული აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების ფუნქცია-მოვალეობებს და სხვა ხელშემწყობ ფაქტორებს, რაც შეამცირებს ეროვნული სამუშაო ძალის დაკარგვას ან/და მის არაეფექტიან გამოყენებას.

გარდა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გადასადგმელი ნაბიჯებისა, გასატარებელი რეფორმებისა და რეგულაციების სახით, მნიშვნელოვანია საზოგაროებრივი ჯანსაღი აზრის ფორმულირების წახალისებაც: სოციალური პასუხისმგებლობა ერთ-ერთი პირველია, რომელიც დადებითად აისახებოდა ნეპოტიზმის, კორუფციისა და კრიმინალის დონის შესამცირებლად. იმ მორალური ვალდებულებების გათვითცნობიერება, რასაც საერთო საქმის - სახელმწიფოს მშენებლობა-განვითარება ქვია, შესასრულებელ სამუშაოს ანახევრებს. საერთო მიზნამდე მისასვლელი გზა განსხვავებული და მრავალფეროვანია, რაზეც მსჯელობის შესაძლებლობასაც ნაციონალისტური იდეოლოგიით გაჟღინთული ისრაელიც გვაძლევს, მსგავსად იაპონიისა, ისევე როგორც ფლურალისტური წარმოდგენებით დამახასიათებელი ამერიკის შეერთებული შტატები.

2.3. მიგრაციული პროცესების დადებითი და უარყოფითი შედეგები

განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ მიგრაციასთან დაკავშირებულ, მიმდინარე გამოწვევებზე და იმ უარყოფით ფაქტორებზე, რასაც გამგზავნი სახელმწიფო ღებულობს პროცესის უცვლელი დინამიკის საპასუხოდ. განვიხილეთ სახელმწიფოები, რომელთაც, საქართველოსგან რადიკალურად განსხვავებული სურათი უფიქსირდებათ. ნაწილობრივ გაესვა ხაზი იმ დადებით ფაქტორებსაც, რასაც შედეგის სახით ღებულობს პროცესში ჩართული მხარეები. თუმცა საჭიროა სისტემური სახით ჩამოვაყალიბოთ ყველა ის დადებითი და

უარყოფითი ფაქტორები, რაც პროცესის თანმდევია როგორც გამგზავნი, ასევე მიმღები სახელმწიფოებისთვის, მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში.

,,საერთაშორისო ადამიანური რესურსების მენეჯმენტ"-ში (მ. თორია, ელ. რიდერი,2020წ) ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნულია ყველა ის შედეგი, რაც გარდაუვალია შრომითი რესურსის მიმღები და გამგზავნი სახელმწიფოსთვის. **(იხ.დანართი 2.3.1.).** დადებით შედეგებს შორის აღსანიშნავია გამგზავნი სახელმწიფოს შესაძლებლობა შეამციროს მოთხოვნა ბაზარზე სამუშაო ადგილებთან მიმართებაში. მიუხედავად სახელმწიფოს ფინანსური რესურსებისა და შესაძლებლობისა, მიგრაციული პროცესის მსგავსი რაკურსით შეფასება დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს, რომ პროცესით მცირდება ან აღმოიფხვრება უმუშევრობასთან დაკავშირებული საკითხი (იქამდე, ვიდრე იმდენად გაღრმავდება პროცესი, რომ საკადრო დეფიციტი შეიქმნას). საკითხის დადებითი რაკურსით შეფასება შესაძლებელია მიმღები სახელმწიფოს მაგალითზეც, რაც ორ ნაწილად იყოფა: კვალიფიციური და დაბალ კვალიფიციური კადრების მიღება. კვალიფიციური კადრების შეთხვევაში მიმღები სახელმწიფო ღებულობს ე.წ. ნაჩუქარ რესურსს, რომლის გადამზადებაში, აღზრდასა და სხვა სოციალურ პროექტებში თანხები არ გადაუხდია. სანაცვლოდ კი ღებულობს ღირებულ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელსაც მიმდინარე ანაზღაურების სანაცვლოდ გასცემს/იყენებს. დაბალი კვალიფიკაციის შემთხვევაში კი ხდება რესურსის შესაბამის პოზიციებზე დასაქმების დამსახურებით ეროვნული სამუშაო ძალის გამოთავისუფლება და ჩნდება შესაძლებლობა მათი გაცილებით ღირებული და პროდუქტიული დასაქმების. ინდივიდის თვალით რომ დავინახოთ პროცესი: მშობლიურ სახელმწიფოში პირობითად - x ლარი, ანაზღაურების ნაცვლად თანხმდება მიგრაციაში მიიღოს 3x შემოსავალი. სამუშაო პოზიციაზე მომუშავე წინამორბედი, ჩანაცვლებული კადრი და უკვე დამქირავებელი ახერხებს 3x ის ნაცვლად, სპეციალიზირდეს 9x ლ შემოსავლის მომტან პოზიციაზე, საიდანაც 3x ლარს დაქირავებულ მიგრანტს მიცემს. მსგავსი პრეცედენტით, ნარჩუნდება დაბალი დანახარჯები, დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრებისთვის, რომელიც

მიგრანტისთვის მაინც უკეთესი შემოთავაზებაა, ვიდრე მშობლიურ სამშობლოში იგივე სამუშაოს შესრულებით მიღებული გაცილებით ნაკლები შემოსავალია. სახელმწიფოს მხრიდან სარგებელს რაც შეეხება, მიგრანტთა მიერ, ახლობლებისა და ოჯახის წევრებისთვის განკუთვნილი გზავნილები ერთ-ერთი დადებითი ზეგავლენის მქონე ფაქტორთაგანია, რომელსაც წვლილი შეაქვს ეროვნული ვალუტის სიცოცხლისუნარიანობაზე და გაცვლითი კურსის შენარჩუნებაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით ყოველთვიურად ფულადი გზავნილების სახით საქართველოში 100 დან 200 მილიონამდე აშშ დოლარი იგზავნება[25].

2021წლის მაისის განახლებით ჩარიცხული თანხის მოცულობამ 187.71 აშშ დოლარი შეადგინა, საიდანაც უდიდესი ნაწილი შემდეგ სახელმწიფოებზე მოდიოდა: იტალია 17%; რუსეთის ფედერაცია 16%; აშშ 12,8%; საბერძნეთი 11% და ისრაელი 7,8%.[26]

კიდევ ერთი დადებითი მახასიათებელი მიგრაციული პროცესისა, მიმღები სახელმწიფოსთვის არის კვალიფიციური კადრების შერჩევის პროცესში კიდევ უფრო მეტი კონკურენციის შესაძლებლობა და დაქირავებული კადრების მობილიზება, მაღალ პროფესიონალურად შეასრულონ დაკისრებული ვალდებულება, რათა შეინარჩუნონ სამუშაო ადგილი. ერთი მხრივ მკაცრი რეჟიმი კომფორტის ზონაში ყოფნის შესაძლებლობას არ ტოვებს და იწვევს სტრესს, თუმცა, სწორედ სტრესული სიტუაციების მართვა და სწრაფი რეაგირება ხდის ბევრ მიმართულებით კომპანიას წარმატებულს და გავლენიანს. შესაბამისად, ხდება ადამიანური რესურსის ეფექტიანი გამოყენება.

პროცესის დადებითი შედეგები გლობალური ასპექტებითაც რომ შევაფასოთ: მიუხედავად რამდენად მტკივნეულად აღსაქმელი იქნება ცალკეული სახელმწიფოსთვის კადრების გადინების პროცესი, თუ ეს ემსახურება საერთაშორისო დონეზე მისიას, დოგმად შეგვიძლია აღვიქვათ მისი საჭიროებაც კი, არათუ სასურველობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იქამდე, სანამ სახელმწიფოს შესაძლებლობები არ გაიზრდება საკმარისად, მეცნიერებების,

[25] National Bank Of Georgia (nbg.gov.ge) - ფულადი გზავნილები
[26] National Bank Of Georgia (nbg.gov.ge) – ფულადი გზავნილები, 2021 მაისი

გამომგონებლებისა და სხვა მეცნიერებატევადი დარგების განვითარების კუთხით მომუშავე კადრების გადინების პროცესი იქამდე, ლოგიკური და გამართლებულიც კი იქნება. ინჟინერი, რომელიც მანქანათმშენებლობის კუთხით გადამზადებული და კვალიფიციურია არ უნდა ელოდებოდეს სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობას საკუთარი უნარების გამოსავლენად. ქართველი მომღერალი, მსახიობი, მხატვარი და სხვა ხელოვნებისა თუ სპორტის წარმომადგენელი არ უნდა კონცენტრირდეს ლოკალურ აუდიტორიაზე, თუ აქვს შესაძლებლობა გლობალური ცნობადობის პოტენციალისა. მსგავსი თანამემამულეების რესურსების თუნდაც საზღვარგარეთ გამოყენების გაუმართლებლობა, დანაშაულია. შეგვიძლია ვიმსჯელოთ რეინტეგრაციაზე, როდესაც ამისთვის თავად სახელმწიფო იქნება მზად.

უარყოფით შედეგებს რაც შეეხება, მეტწილად პრობლემა ტვინების გადინების პრეცედენტში გამოიხატება, რომელიც რამდენიმე წინადადების წინ ზოგად საკაცობრიო ჭრილში გავამართლეთ, თუმცა დიდი გამოწვევაა პროცესი რესურსის გამგზავნი სახელმწიფოსთვის, რომელიც ალტერნატიული დანახარჯის სახით ღებულობს ნაკლებ ეფექტურ შედეგებს, ვიდრე მიგრირებული კადრის პროცესში ჩართულობით მიიღებდა. გარდა ამისა, დაბალი კონკურენცია და კომპეტენციის ნაკლებობა სამუშაო შესრულების ეფექტიანობის ხარისხს ამცირებს მიმღებ სახელმწიფოში, შედეგად, ფართო მასებისთვის ხდება მიღწევადი რიგი ვაკანსიები, რასაც მაღალი მენეჯერული უნარ-ჩვევები ჭირდება ასევე მაღალი თეორიული ცოდნით გამყარებული. ამიტომ მარტივდება უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა და კლებულობს ცოდნის ხარისხ. უარყოფითი რაკურსით განსახილველია მწვავე კონკურენცია მიმღებ სახელმწიფოში, რომელსაც ეთნიკური კონფლიქტებიც კი შეუძლია წარმოშვას. მსგავსად გასული საუკუნის პრაქტიკისა ანტისემიტური[27] გერმანიის სახით.

[27] ანტისემიტიზმი - ებრაელების მიმართ მტრობა, თან ახლავს სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური დისკრიმინაცია. [ჰეივუდი ე. პოლიტიკური იდეოლოგიები:შესავალი კურსი. მე-3 გამოცემა. ლოგის პრესი, თბილისი 2004, 432გვ]

შედეგად, კონკურენციის ნაკლებობაც და გადამეტებული კონკურენციაც იწვევს გვერდით ეფექტებს, რასაც გავლენის მოხდენა შეუძლია საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროში, ეს კი ლოგიკურია, სახელმწიფო (იქნება ეს მიმღები თუ გამგზავნი, რესურსებისა) შედეგბა ადამიანური რესურსებისგან, რომელსაც ასევე ადამიანები მართავენ სხვადასხვა მექანიზმებით, ამიტომ ყველაზე მეტად საყურადღებო, კერძო იქნება ეს თუ საჯარო სექტორში, კადრების შერჩევის პოლიტიკა წარმოადგენს (უნდა წარმოადგენდეს).

თავი III. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მართვის პრობლემები და მათი სრულყოფის გზები

3.1. ადამიანური რესურსების საერთაშორისო მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის მიმოხილვა (საქართველოს მაგალითზე)

პირველადი წყაროს მონაცემების ანალიზით, რომელიც თვისებრივი კვლევის საფუძველზე ჩამოყალიბდა, უმეტესწილად, შეგვიძლია ვიმსჯელოთ საერთაშორისო მიგრაციის საკითხის გარშემო, როგორც კომპლექსურ გამოწვევაზე. ჩართული დაკვირვება ხელისშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა გამოკითხვის პროცესში, რესპოდენტებისთვის აქცენტი იმ დეტალებზე გაემახვილებინათ, რაც მიღებული პასუხების კვლევის შედეგებში გამოყენების შესაძლებლობას მოგვცემდა. დედუქციური მეთოდით განვითარებულმა მსჯელობამ კონკრეტული დასკვნების გაკეთების შესაძლებლო მოგვცა, რამაც კვლევის ორგანიზებულ და სისტემურ შედეგებამდე მიგვიყვანა.

კვლევაში მონაწილეთა რიცხვი 40 რესპოდენტით შემოიფარგლა, 80% მდედრობითი სქესის წარმომადგენელია, გამოკითხულთა 90%-ს დროის მცირე მონაკვეთი საზღვარგარეთ აქვთ გატარებული, საგანმანათლებლო, ტურისტული და საქმიანი ვიზიტებით.

კვლევა მეტი კონკრეტიკის შემცველი რომ ყოფილიყო საქართველოს მიმდინარე პროცესების შეფასებითი ანალიზის წარმოდგენას შევეცადე. პირველი კითხვაც შესაბამისი იყო, რომ აღიქვამდნენ თუ არა საქართველოს შემთხვევაში მიგრაციას პრობლემად და რატომ. გამოკითხულთა დიდი ნაწილისთვის ემიგრაცია განსაკუთრებით მწვავე პრობლემად აღიქმება, განსაკუთრებით დიდ უკმაყოფილებას იწვევს ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში ადამიანი იძულებულია მიიღოს ემიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილება, რადგან სამშობლოში ვერ ახერხებს ღირსეულ დასაქმებას ან/და ანაზღაურება იმდენად დაბალია მიმდინარე ხარჯებსაც კი ვერ ფარავს.

მომდევნო კითხვა სწორედ იმ მიზეზების გაანალიზებას ემსახურებოდა მიზნად, რესპოდენტებისგან გაგვეგო რას წარმოადგენდა მათი ობიექტური შეხედულებით მთავარი გამომწვევი მიზეზი მიგრაციული პროცესების არსებული დინამიკისა. ცალსახად, ეკონომიკური პრობლემები წინა ფლანგზე წამოიწია. დაბალი სახელფასი კალათა და პროდუქციის მაღალი საბაზრო ფასები. ძვირი კრედიტები და შესაბამისი სამსახურის მოძებნასთან დაკავშირებული სირთულეები. ასევე, საინტერესო იყო ახალგაზრდების იმ ნაწილის პოზიცია, რომელიც საზღვარგარეთ სწალას გეგმავს, არ გამორიცხავს რომ მისაღები შემოთავაზების შემთხვევაში აუცილებლად განიხილავს ხანგრძლივი ვადით დარჩენის ვერსიასაც.

პირველ თავში გავამახვილეთ ყურადღება მიმართულებებზე, როგორც გამოკვეთილ გრავიტაციულ ცენტრებზე, მიგრაციის თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით.

რესპოდენტებისგან მიღებული პასუხები თუ რომელ ქვეყანაში წავიდოდნენ რეალური შანსის არსებობის შემთხვევაში, დიდი ნაწილის პასუხი ევროპის წამყვან სახელმწიფოებს მოიცავდა, ისეთს, როგორიც არის გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, ავსტრია და ნიდერლანდები. გაიჟღერა სკანდინავიის ქვეყნების, ისრაელისა და აშშ-ს ვერსიებმაც, ისევე როგორც შორეულმა ავსტრალიამ და სამხრეთ კორეამ. მეტწილად მიღებული პასუხები გამოწვეული იყო რესპოდენტების პიროვნული ინტერესებით. ნათესაური კავშირებითა და უბრალოდ, კულტურის პატივისცემით. თუმცა კითხვაზე მათ გარშემო ყველაზე ხშირად რომელი ქვეყანა ესმით, როგორც საქართველოდან ემიგრირებულთა მიმღები სახელმწიფო, ლიდერი პასუხი რუსეთი, იტალია, თურქეთი და საბერძნეთია. ამრიგად, განსხვავებულია ინტერესი შესაძლებლობისგან. პრემიგრაციის პროცესი რათქმაუნდა მოიცავს დანიშნულების პუნქტის შერჩევას, რაც საერთოდ არ არის სპონტანურად მისარებ გადაწყვეტილებებს შორის, არჩევანის გაკეთებისას ხდება რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება: რამდენად რეალურია მიმღებ სახელმწიფოში დასაქმების შესაძლებლობა, ყავს თუ არა ახლობელი/ნაცნობი, როგორც რისკის ფაქტორის შემცირების გარანტი

წარუმატებლობის შემთხვევაში, მიმღები სახელმწიფოს ზოგადსამართლებრივი მდგომარეობა და პოლიტიკური დღის წესრიგი, პოტენციური სამუშაოს შესრულებისას მიღებული შემოსავლის შეფასებითი ანალიზი, სხვა ქვეყნის ანალოგიასთან, მსგავსის შესაძლებლობის შემთხვევაში და სხვა.

სწორედ სპონტანურად მიღებულ გადაწყვეტილებას ეხებოდა მომდევნო კითხვა, სადაც აბსოლუტურმა უმრავლესობამ, დააფიქსირა, რომ როგორც მინიმუმ შეეცდებოდნენ ზევითჩამოთვლილი მახასიათებლების მხედველობაში მიღებას მიგრაციაში წასვლამდე.

საინტერესო აღმოჩნდა შემდეგი კითხვა, რომ თუ მიმღებ სახელმწიფოში ლეგალურად მოხვედრა რთულ და ხანგრძლივ პროცესთან იქნებოდა დაკავშირებული, მიიღებდნენ თუ არა არალეგალურად წასვლის გადაწყვეტილებას. რესპოდენტების ნაწილმა დაუფიქრებლად განაცხადა, რომ საჭიროებიდან გამომდინარე მზად იყვნენ არალეგალურადაც კი წასულიყვნენ. ნაწილობრივ კი კითხვაზე პასუხი დამოკიდებული იყო მოცემულ მომენტში გამგზავნ სახელმწიფოში ყოფიერებაზე. კონკრეტუად კი, პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების კუთხით, ისევე როგორც კლიმატური საფრთეები დაუყოვნებლივ რეაგირების სტიმულის მიმცემი აღმოჩნდებოდა.

კვლევაში სცენარის განვითარების ორი ვერსია ვთხოვეთ რესპოდენტებს. მიგრაციაში ლეგალურად და არალეგალურად მოხვედრის შემთხვევაში, რა პოზიციაზე იმუშავებდნენ. არალეგალური მიგრაციის შემთხვევაში პასუხების ტანდემი იგრძნობა დღევანდელ მოცემულობასთან. ქალბატონების დიდი ნაწილი აფიქსირებდა აზრს, რომ იმუშავებდნენ ოჯახებში დამლაგებლის, დამხმარის მიმტანის, მზარეულისა თუ სხვა მსგავს პოზიციებზე, რაც მიმღებ სახელმწიფოში დარჩენას საფრთხეს არ შეუქმნიდა. ლეგალურად დასაქმების შემთხვევაში კი პასუხები გაცილებით მრავალფეროვანი იყო და ძირითადად დამოკიდებული რესპოდენტების საბაკალავრო-სამაგისტრო ხარისხთან, მიღებულ სამსახურეობრივ ცოდნასა და გამოცდილებასთან.

ყურადღების გამახვილება გახდა საჭირო მიმღებ სახელმწიფოში სამეტყველო ენის ათვისების პრიმატზე. რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა

სწრაფი ადაპტაციისთვის მოცემული ნიუანსი და რა დამატებითი ფაქტორების მხედველობაში მიღება გახდებოდა საჭირო:

გარდა ენის ბარიერისა, გამოიკვეთა კულტურული სახესხაობები. რიგი შეუსაბამობები მოიცავს ისეთ დეტალებს, როგორიც არის მაგალითად დროის აღქმას, დაგვიანებასა და დათქმულზე ადრე მისვლისგან გამოწვეულ რეაგირებას, ცრურწმენებს და მენტალურ დივერსიფიკაციას, ემოციური ფონის ჩართულობით კომუნიკაციის დონეს, ჟესტების ენასა და საზოგადოებრივი ქცევის ნორმების მიღება-მიუღებლობის საკითხს. რელიგიურ ფანატიზმსა და კანონისადმი მორჩილების ხარისხს.

რაც ყველაზე მეტად პარადოქსულია, კვლევის პროცესში რესპოდენტებს არ გაუმახვილებიათ ყურადღება არცერთხელ, რომ აუცილებელი პირობა ლეგალურად ემიგრაციაში წასვლის გადაწვეტილების მიღებისას, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს დამქირავებლის მხრიდან დამოკიდებულებას და სამართლიან მობყრობას. შესაძლებელია, ეს ორი ფაქტორით განიმარტოს, რომ რესპოდენტები აღმატებით აფასებენ განვითარებულ სახელმწიფოებში დაქირავებული მუშახელისადმი სამართლიან დამოკიდებულებას. ან მეორე შემთხვევაში უბრალოდ მეორეხარისხოვანი და გაძლებადი ხდება ყველა ის სამუშაო პირობა, რაც დახვდებათ, ვინაიდან ჩნდება რისკი, რომ მაღალი კონკურენციის პირობებში საუკეთესო პირობების ძებნის პროცესში ჩაძირულს, შესაძლოა უმუშევრობა თანმდევ მეგზურად ექცეს და საბოლოოდ გაცილებით რთულ ეკონომიკურ სირთულეებს გადააწყდეს.

ჩნდება კითხვა, რა უნდა შეიცვალოს, გამოსწორდეს საქართველოში, რომ მივიღოთ მიგრაციული ნაკადების კლება. იმისთვის რომ არ ვკარგავდეთ გამუდმებით ადამიანურ რესურსებს და ხდებოდეს მათი უნარებისა და შესაძლებლობების რეალიზაციის სულ მცირე მცდელობა მაინც.

კითხვაზე მიღებული პასუხები დაკავშირებული იყო დაბალ სახელფასო პოლიტიკის გაუმჯობესებასთან, მეტი სამუშაო ადგილის შექმნასთან, წარმოების იმ დარგების განვითარებაში ხედავდა რესპოდენტების ნაწილი გამოსავალს,

რომლის განვითარების შესაძლებლობაც გვაქვს და რის იმპორტსაც დღემდე ვახორციელებთ.

მიმოფანტული მარგალიტების შეკრება რომ ვცადოთ და ერთ სისტემურ ჯაჭვში გავაერთიანოთ ყველა ზევითხსენებული მიზანი, კომპლექსურ საკითხს მივადგებით, რომლის მოგვარებაც, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ეფექტების გამომწვევი იქნება სახელმწიფოსთვის. კონკრეტულად კი, გამოიკვეთა კვალიფიციური კადრების პრობლემა, მაღალი მენეჯმენტის უნარის მქონე რესურსი საკუთარი შესაძლებლობის რეალიზაციას ბუნებრივია არჩევის იქ, სადაც მეტს უხდიან. ამრიგად რჩება ნაკლებად ეფექტური მმართველი რგოლი, მეტი შეცდომით და ხარვეზით მმართველობით პლატფორმაზე რიგ ორგანიზაციებში.

თუ გადაიხედება სახელფასო პოლიტიკა და ღირსეული ანაზღაურება არა სახელმწიფო რეგულაციით, არამედ ბიზნეს ოპერატორის კეთილი ნებით დადგინდება, გაიზრდება მოთხოვნა კვალიფიციურ კადრებზე და შესაბამისად გაიზრდება განათლებისადმი დამოკიდებულებაც. ყურადღება მიექცევა კადრის კვალიფიკაციის ამაღლების პრიმატს და HR სამსახურის მთავარი მიზანი კადრების მოძიება-სამსახურში აყვანასთან ერთად მათი შენარჩუნება გახდება. რათქმუნდა, გარკვეულ ხარჯებთან იქნება კომპანიისთვის გადადგმული ნაბიჯი დაკავშირებული, და შესაძლოა პროდუქციის სარეალიზაციო ფასშიც კი აისახოს გაზრდილი ხელფასები, რაც თავისუფალი ვაჭრობის პირობებში რისკს გაზრდის კომპანია არაკონკურენტუნარიანი გახდეს, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე მსოფლიო ბაზრის მასშტაბით. თუმცა ხარჯების დაბალანსება შესაძლებელი იქნება კვალიფიციური კადრების მეშვეობით მიღწეულ სხვა ფინანსური მოგებით. იქნება ეს ნედლეულზე მიღებული ფასდაკლება, მასშტაბის ეკონომიის მიღწევა, პარტნიორების, ინვესტორების მოძიება და სხვა. (კომპანიის სპეციფიკაციიდან გამომდინარე).

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, სახელფასო კალათა მართველი რგოლის გარდა, უნდა გაიზარდოს არამართველი რგოლის თანამშრომლების შემთხვევაშიც, რათა შემცირდეს სხვაობა მიგრაციის შემთხვევაში მიღებულ

სავარაუდო შემოსავალსა და საქართველოში დასაქმებით მიღებულ შემოსავალს შორის. აქაც ცალსახაა მნიშვნელოვანია კომპანიების მხრიდან გამოჩენილი კეთილი ნება, რომ ყოველწლიურად მიღებული მოგება შეამცირონ მოსამატებელი ხელფასების გამო, თუმცა სარეალიზაციო ფასები არ აწიონ იმაზე მეტად, ვიდრე მსოფლიო ბაზარზეა, რათა არ მოხდეს რიგი ჯგუფების მხრიდან სწრაფი სარგებლის მიღების მიზნით ბაზრის იმპორტირებული, დაბალბიუჯეტიანი პროდუცქიით შევსება. ჯაჭვური კავშირი გარდაუვალს გახდის, რომ ბაზარზე დაფიქსირდება ფასების მატება პროდუქციაზე, მომსახურებაზე. უტოპია იქნება მსგავსი სცენარით რომ არ განვითარდეს სიუჟეტი. აქ კი ახალი პრობლემა იჩენს თავს: გაზრდილი ფასები პროდუქციაზე მეტნაკლებად აისახება ოჯახებზე, გაზრდილი ხელფასების პირობებში. შესაძლოა მოცემულობა იგივე დარჩეს და სახელფასო ფასნამატი ბაზარზე პროდუქციისა და მომსახურების ფასნამატში გადაიხუროს. თუმცა მტკივნეულად გადასატანი იქნება პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველებისთვის უცვლელი შემოსავლების პარალელურად მიღებული მზარდი ფასები.

სწრაფი პარალელი რომ გავავლოთ ალტერნატიულ დანახაჯთან, ვღებულობთ შემდეგ სურათს, რომ გაიზრდება სიღატაკის ნიშნული და გაუარესდება ეკონომიკური შესაძლებლობები დაბალ ფენებში. უცვლელი დარჩება, ან მცირე ცვლილებები დაფიქსირდება საშუალო ფენის ნაწილში, გაუარესდება მწარმოებლურობის შესაძლებლობა იმ მეწარმეებისთვის, რომელიც მარჟების შემცირების და ბაზარზე ფასების შენარჩუნების პოლიტიკას შეეცდებიან.

ამრიგად პრობლემის გადაჭრაზე ზრუნვის დაწყება სახელფასო პოლიტიკიდან, პირდაპირ სახელმწიფოს ეკონომიკის თვითმკვლელობასთან იქნება დაკავშირებული.

გამოსავალი არც ხელოვნური ბარიერების შექმნაშია იმპორტირებულ პროდუქციაზე დაწესებული ქვოტების და გადასახადების სახით, მართალია ადგილობრივ წარმოებას ხელს უშლის და განვითარების შესაძლებლობას

(მასშტაბის ეკონომიის პიკის მიღწევის შესაძლებლობას) არ აძლევს, თუმცა თავისუფალი ვაჭრობის პირობებში, რაც ნაკლებად ჩაერევა სახელმწიფო ფასწარმოქმნით პოლიტიკაში, მით უფრო ჯანსაღ გარემოს შექმნის ადგილობრივ ბაზარზე. შესაძლოა მსგავსი მიდგომა საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, თუმცა მოხდება სპეციალიზაცია იმ დარგებში, სადაც კონკურენტული უპირატესობა აღმოაჩნდება მეწარმეს.

ყველა წამოწყებას, იქნება ეს მცირე, საშუალო თუ მსხვილი ბიზნესი, ჭირდება პროცესების მართვა და გადაწყვეტილებების მიღება, საკმარისი არ არის მხოლოდ იდეა და ფინანსური უზრუნველყოფა. საკითხმა კიდევ ერთხელ განათლების მნიშვნელობისთვის გაგვასმევინა ხაზი. ამიტომ ღირებულად ჩავთვალეთ რესპოდენტებისთვის გვეთხოვა დაეფიქსირებინათ პოზიცია განათლების სისტემის გარშემო, შეეფასებინათ, რამდენად ხედავდნენ განათლების როლს მიგრაციის პროცესებში და რა კუთხით გამოიხატებოდა იგი?

რესპოდენტები ორ ფაქტორზე ამახვილებდნენ ყურადღებას, რომ განათლებისა და კომპეტენციის ნაკლებობა იწვევს ერთი მხრივ, საქართველოდან მიგრაციის ძირითად ტალღას, ისეთ პოზიციებზე დასაქმების მიზნით, რომელიც უმაღლეს განათლებას არ საჭიროებს და რომ პროცესი უწყვეტია თაობების ცვლილებასთან ერთად. მეორე შემთხვევაში კი ფერხდება სახელმწიფოს განვითარების ტემპი (მხედველობაში მისაღებია მსოფლიო ტენდენცია „ტვინების გადინებისა“ [28]), რომელიც უარყოფითად აისახება გამგზავნი სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაზე. პარალელურად კი მიმღები სახელმწიფო ღებულობს ე.წ. ნაჩუქარ რესრუსს, რომლის გადამზადებაში, განათლების მიცემასა და აღზრდაში მონაწილეობა არ მიუღია და ღებულობს მათ მომსახურეობას სხვადასხვა გამოსადეგ და მნიშვნელოვან სფეროში. რესპოდენტების დიდი ნაწილი აცნობიერებს მაღალკვალიფიციური კადრების გადინების უარყოფით ეფექტს გამგზავნი სახელმწიფოსთვის, თუმცა ხედავენ

[28] Brain drain - სიტყვასიტყვით „ტვინების გადინება“ დაკავშირებულია მიგრაციულ პროცესთან, რომელიც ასახავს ინდივიდუალურ დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებას - ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესების, პროფესიული უნარ-ჩვევების უკეთ წარმოჩინების მიზნით ემიგრაციაში წასვლას. [Investopedia.com by Julie Young, uploaded Jun 1, 2021].

ლოგიკურ მასტიმულირებელ ფაქტორებს, რაც რიგ შემთხვევებში მიგრაციას განაპირობებს.

მაღალი კომპეტენცია და ხარისხიანი განათლება კაპიტალდაბანდებაა სახელმწიფოსთვის, რათა ზრდასრულობის ასაკში შეძლოს იმ რესურსის გამოყენება, სადაც მოხდა ინვესტირება, ეს კი თითოეული კურსდამთავრებულია. ვინაიდან დღევანდელი მოცემულობით რიგ მიმართულებებზე ქართული შრომის ბაზარი ვერ ახერხებს კადრებისთვის შესაბამისი ღირსეული ანაზღაურების შეთავაზებას და არც მოთხოვნაა მაღალ კვალიფიკაციაზე, ხდება მასობრივად უმაღლესი განათლების მიღების ხარისხის სტანდარტების დაწევა და მინიმალური კომპეტენციებით დაკმაყოფილება დამქირავებლის მხრიდან, რომელიც საპასუხო, საკადრო პოლიტიკით ზოგავს ხელფასებზე გასაცემ რესურსებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსგავსი პრეცედენტის მასშტაბურობა იწვევს მოტივაციის დაქვეითებას დაქირავებულ პერსონალში და კონკურენციის ფაქტორის მინიმუმამდე დაყვანას, რა დროსაც უკვე ყველასთვის ცხადია, რომ არჩევანი კეთდება დაბალ სახელფასო მოთხოვნაზე. შედეგად კი ქვეითდება სახელმწიფოს მეცნიერებატევად დარგებში რაიმე ღირებულების შექმნის ალბათობაც.

სწორედ მსგავსი მარგინალური ყოფიერება განსაზღვრავს რესპოდენტების მცირე, თუმცა საინტერესოდ არგუმენტირებული მოსაზრებების ერთობლიობას, რომ არ უნდა მოხდეს დამატებითი ინვესტიციები სახელმწიფოს მხრიდან საშუალო და უმაღლეს განათლებაში, მათი პოზიციით, არსებული დინამიკის შენარჩუნება საკმარისია მომავალი კადრების მოსამზადებლად. რომ მწირე თეორიული ბაზისის მიუხედავად, პრაქტიკაში ამაღლებული კომპეტენცია სრულებით საკმარისია და სახელმწიფოს განვითარების დინამიკაშიც ვერ ამჩნევენ საგანგაშო ნიშნულებს. აღნიშნულ რესპოდენტებს მიაჩნით, რომ პრობლემა ჯერ სახელფასო პოლიტიკასა და სამუშაო ადგილებში უნდა ვეძიოთ. თუმცა ჩვენთვის უკვე ცხადია, რომ განხილულმა პრიორიტეტმა საკითხის მოგვარების პროცესში ჩიხში შეგვიყვანა. კონტრ-არგუმენტები მოყავთ გამოკითხულთა მეორე ნაწილს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ რესურსების

დაზოგვა განათლების სექტორში მოჯადუებულ წრეს ვერ გახსნის. შესაძლოა „ტვინების გადინების“ მასშტაბები გაიზარდოს, თუმცა ასევე გაიზრდება კვალიფიციური და კომპეტენტური კადრების რიცხვიც, რომლის დიდი ნაწილიც მიღებულ თეორიულ ცოდნას სახელმწიფოს განვითარების პროცესში გამოიყენებს.

რაც შეეხება, მიმართულებებს, თუ სად უნდა მოგვეძებნა პრობლემები, რაც ეფექტური განათლების სისტემის ჩამოყალიბებას აფერხებდა, რესპოდენტების დიდი ნაწილი აღნიშნავდა, რომ ძირითადი რეფორმები საშუალო განათლების დონეზე, სკოლებში უნდა გატარებულიყო. დასწავლის მეთოდის შეცვლასა და მოსწავლეებისთვის კრიტიკული ანალიზის გამოტანის შესაძლებლობის მიცემაზე საუბრობდნენ, რომლის პრეროგატივაც სწორედ სკოლას უნდა ქონოდა.

მოგვიანებით პრობლემის მოგვარების გზებზე მსჯელობისას, განვავრცობთ განათლების რეფორმის კუთხით დაბალბიუჯეტიან შეთავაზებას, რომლის ინიციატორიც და მხარდამჭერიც რესპოდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა გახდა.

კვლევის დახმარებით შეგვექმნა წარმოდგენა, თუ „რა“ და „როგორ“ რეაგირებს მიგრაციის გამწვავების კუთხით დღევანდელ საქართველოში. გამოიკვეთა ძირითადი საზრუნავი თემები და გამოწვევები.

აუცილებლად უნდა გავაანალიზოთ საზოგადოების იმ ნაწილის მოსაზრებაც, რომელიც მიგრაციულ პროცესებს არათუ გამოწვევად, დადებით მოვლენადაც კი აღიქვამს. ძირითადად გლობალური წარმოდგენები აყალიბებდა მსგავს პოზიციას, როდესაც საუბრები შეეხებოდა იმ დადებით გავლენას, რასაც მიგრანტის მიერ გაწეული შრომა განაპირობებდა. მეტი ინტეგრაცია და ფართო გადაადგილების შესაძლებლობა ზრდის ერებს შორის დაახლოების, გაცნობის, დამეგობრების მაჩვენებელსაც; იზრდება სახელმწიფო დონეზე მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბება განათლების, მეცნიერების, ბიზნეისისა და ტექნოლოგიების კუთხით დაგროვებული ცოდნის გაზიარების მიმართულებით. მცირე საკონსულოდან დაწყებული, სტრატეგიული მნიშვნელობის თანამშრომლობით გაგრძელებული, პროცესში ჩართულობის ჯაჭვურ კავშირს

ძლიერი დიასპორის არსებობა განაპირობებს. მსგავსად პორტუგალიისა და ბრაზილიის მაგალითისა, პრეცედენტები მრავლად არის თანამედროვე მსოფლიოში. ყველაზე მეტად თვალსაჩინო მაგალითი კი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის პრეცედენტია. მსგავსი ტიპის ურთიერთობები ამცირებს ქვეყნებს შორის შეიარაღებული დაპირისპირების/კონფლიქტის ალბათობასაც, ვინაიდან ორმხრივი სავაჭრო პარტნიორული ურთიერთობების ცვლილება საფრთის შემცველია პროცესში ჩართული ორივე მხარისთვის, ეკონომიკური თვალსაზრისით. ამრიგად იქმნება ძლიერი კავშირები, ძლიერი ეკონომიკური ბერკეტებით, უსაფრთხოების და სტაბილურობის გარანტი კი, თავად სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებია.

გარდა პოლიტიზირებული რაკურსისა, სამეცნიერო ჭრილშიც განიხილა რესპოდენტების ნაწილმა პროცესი, რა დროსაც გამოიკვეთა შემდეგი, რომ თუ სახელმწიფო ვერ იყენებს მეცნიერების თუნდაც მცირე, მაგრამ ანგარიშგასაწევ რესურსს, მისასალმებელია მიგრაცია მათი პოტენციალის კაცობრიობის სასარგებლოდ გამოყენების მიზნით. არამხოლოდ საქართველო, ამ შემთხვევაში მოიაზრება მთლიანი მსოფლიოს მასშტაბით მეცნიერთა კოლეგია, რომლის თავშეყრის ეპიცენტრი კვლევებისა და განვითარების კუთხით ლიდერი სახელმწიფოები ხდება.

დიდი რეზონანსი არ გამოუწვევია ხელოვნების და სპორტის კუთხით მოღვაწეობის ინტერნაციონალიზაციის დადებითი რაკურსით განხილვასაც. საერთაშორისო ცნობადობა, ფართო მასებში აღიარების მოპოვება და პარალელურად კი მშობლიური სახელმწიფოს დადებითი კუთხით გაცნობა მსოფლიოს მასშტაბით ხელოვნების/სპორტის მოყვარულებში, ის პროცესი აღმოჩნდა, რომელიც ყველაზე მეტად სასიამოვნოდ აღსაქმელი იყო რესპოდენტებისთვის, ვინაიდან გამოიკვეთა პატრიტიზმის განცდის გამოხატულება და სიამაყის გრძნობა.

გარდა ამისა აღინიშნა, რომ უმუშებრობის დონე მნიშვნელოვნად მცირდება სახელმწიფოში, მიგრაციის გავლენით. მიზეზი უარყოფითი რაკურსით უკვე განვიხიეთ, რომ ეს დაკავშირებულია სახელმწიფოს

უუნარობასთან, გამოიყენოს ადამიანური რესურსი, შესაფერისი, ღირსეული ანაზღაურებით. მეორე მხრივ კი პროცესი ზრდის ფულადი მასების მოძრაობას გზავნილების სახით, მათი კონვერტაცია ეროვნულ ვალუტაში კი ვალუტის გამყარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია.

ამრიგად, რესპოდენტებისგან მიღებული არგუმენტირებული მოსაზრებების ერთობლიობამ დაგვანახა ორმხრივად შესაფასებელი პროცესი, თავისი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლებით. გვიჩვენა ინდივიდის, მეწარმოებლის და იმპორტიორის გამიჯნული როლი, რომლის შესრულებაც თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული, ასევე სახელმწიფოს ფაქტორს გაესვა ხაზი, რომელსაც შესწევს უნარი თითოეული მოქალაქის ორგანიზებულ ქმედებაში შეიტანოს წვლილი, მკვეთრად განსაზღვრული საკანონმდებლო ცვლილებებისა და სხვა დამხმარე ბერკეტების გამოყენებით.

ნაშრომის კითხვის პროცესშივე დავრწმუნდებოდით თანდათან, რომ მიგრაციული პროცესები არ არის ავტონომიური ხასიათის, რომ მას აუცილებლად ჭირდება მასტიმულირებელი, გამომწვევი მიზეზები. ისევე, როგორც მიგრაციის მიმართულებებია გარკვეულწილად გაკვალული და განსაზღვრული უმეტეს შემთხვევაში. გავეცანით ლიდერ, წარმატებულ სახელმწიფოებს, რომელთაც შეძლეს პროცესების მართვა და მიგრაციული დადებითი სალდოს ყოველწლიურად შენარჩუნება. კონტრასტი გავავლეთ საქართველოსთან და ვიმსჯელეთ, რა მიმართულებით უნდა განაგრძოს გზა მსგავსი წარმატებით გამოწვევების დასაძლევად. შესაბამისად დადგა დრო დავსვათ კითხვა: როგორ?, იმისთვის, რომ განვიხილოთ უკვე გაანალიზებული მიზნების მიღწევის გზები და შესაძლებლობები.

პროცესის სწორი, თანმიმდევრული და ლოგიკური წარმართვისთვის, მნიშვნელოვანია ლეგიტიმაციის ხარისხი. აუცილებელ თანხვედრაში უნდა მოდიოდეს მოსაზრებები საზოგაროებრივ განწყობასთან, რაშიც თვისებრივი კვლევა დაგვეხმარა, ჩართული დაკვირვების გამოყენებით. კვლევის შედეგები ნაწილობრივ მიმოვიხილეთ და გავეცანით რესპოდენტების მოსაზრებებს მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით, ვიმსჯელეთ მიმართულებებზე რაზე

მუშაობაც გვმართებს საკითხის ნორმალიზებისთვის, ასევე განვიხილეთ ფაქტორები, რომელიც გამოწვევაა დღეს საქართველოსთვის, თუმცა მიზანმიმართულად მათი მოგვარების მცდელობები, მხოლოდ გააუარესებს არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას. გამოიყო რამდენიმე ფაქტორი, რაც გვერდითი ეფექტის სახით გამოწვეულ ზიანზე მეტად დადებითი მახასიათებლებით ხასიათდება: თავისუფალი ვაჭრობა, წარმოების სპეციალიზაცია, განათლების სისტემის მოდიფიკაცია და სოციალური პასუხისმგებლობა ის დომინანტი კრიტერიუმებია, რის გარეშეც დღის წესრიგიდან ვერ მოიხსნება მიგრაციული, მაღალტენდენციური ნაკადები.

მიზანშეწონილი იქნება თუ ვიმსჯელებთ, როგორც მოკლე, ისე გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებულ ღონისძიებათა ერთობლიობაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა კომპლექსური მიდგომა, რაც დიდ ფინანსურ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. შეზღუდული რესურსების პირობებში კი ოპტიმალურად გადანაწილება გახდება საჭირო.

პირველი საკითხი რის გარშემოც მოგვიწევს საუბარი, იქნება უკვე რამდენჯერმე ხაზგასმული განათლების სისტემა. მსჯელობისას აღინიშნა, რომ ქართული განათლების სისტემა საბჭოთა მემკვიდრეობის გადმონაშთია, ვინაიდან მაქსიმალურად ზღუდავს მოსწავლის კრიტიკული აზროვნების განვითრებას. ფოკუსირებულია მხოლოდ დამახსოვრების/დაზეპირების პრეცედენტზე ყოველგვარი ლოგიკური ბმის გააზრების მცდელობის გარეშე, ამრიგად მოსწავლეთა დიდი ნაწილი მალევე აღმოჩნდება სასწავლო გეგმას ჩამორჩენილი და ცდილობს აღმოაჩინოს ალტერნატიული ინტერესის სფერო, რომელსაც შორს მიყავს მაქსიმალურად შედეგიანად გამოყენებადი ადამიანური რესურსის, როგორც გონებრივი პოტენციალის განვითარება-გამოყენებისგან. სწორედ საფუძველში უნდა ვეძიოთ პრობლემის პასუხი დასმულ კითხვაზე - კვალიფიციური კადრის ნაკლებობის გამომწვევ მიზეზთან დაკავშირებით.

მიზეზი, რატომაც ვერ ახერხებს საქართველო მეცნიერებატევად დარგებში ფეხის მოკიდებას, მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო ფოკუსირებულია ტექნოლოგიურ-ინოვაციურ, საბუნებისმეტყველო დარგებში ახალ აღმოჩენებზე,

საქართველოსთვის დღის წესრიგი კვლავ მარტივ ბაზისებზე დამყარებული ელემენტარული გამოწვევებია. ამრიგად, უდავოდ უნდა ვეძებოთ განათლების სისტემაში პრობლემები რაც იწვევს მასობრივად განათლების დაბალ დონეს და კომპეტენციის ნაკლებობას.

საშუალო განათლება, როგორც საწყისი საფუძველი ღირებული ცოდნის შექმნისა, საქართველოს შემთხვევაში მოკლებულია მოზარდის კრიტიკული აზროვნების გამომუშავებაზე ფიქრს, შედეგად მოსწავლე კარგავს ორიენტირს და ნაცვლად ოპტიმალური, გრძელვადიან პერსპექტივაში მომგებიანი გადაწყვეტილების მიღებისა, რეფლექსურად მიყვებიან ცხოვრების დინებას მიმდინარე გამოწვევებით. შესაბამისად, საჭიროა დასწავლის ფუნქციას სკოლებში თუ დაემატება გაანალიზების მექანიზმებიც.

კვლევამ აჩვენა აბსოლუტური თანხვედრა საშუალო განათლების რეფორმის საჭიროებასთან დაკავშირებით. შეზღუდული ფინანსური რესურსებიდან გამომდინარე, საწყის ეტაპზე, რესპოდენტების ნაწილმა დააფიქსირა, რომ ეფექტური იქნებოდა ბიზნეს ლიტერატურას თუ დაეთმობოდა დრო. ბრაიან თრეისი[29], გაი კავასაკი[30], დავით ჩიკვაიძე[31] და სხვა მოტივატორი მწერლები რეალურ დროში გაამახვილებინებდნენ მოსწავლეებს მათ გარშემო მიმდინარე ბიზნეს პროცესებზე და ნიუანსებზე ყურადღებას. გაზრდიდა დროის, ფინანსების სწორ მართვას, შესასრულებელი სამუშაოებიდან პრიორიტეტულის ამოცნობის და მათი მენეჯმენტის საფუძვლებს. შედეგად გაიზრდებოდა მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნება, პრიორიტეტების გამარტივებული გაანალიზებით ამოცნობა და დროული მენეჯმენტი, რაც ორგანიზებულ სტრუქტურას ჩამოუყალიბებდათ და ქაოტურ, სპონტანურ მუხტებს შეამცირებდა. შედეგად, განათლების სისტემა მეტად პროდუქტიული გახდებოდა და გაიზრდებოდა მოტივაცია მოსწავლეში, გაანალიზებდნენ განათლების მიღების საჭიროებას და გაცილებით სწრაფად

[29] ბრაიან თრეისი - კანადელ-ამერიკელი მწერალი. სპიკერი, მოტივაციის ასამაღლებელ ნაშრომების ავტორი.
[30] გაი კავასაკი - ექსტრემალური ბიზნესმეთოდებისა და რიგი ბიზნესლიტერატურის სახელმძღვანელოების ავტორი.
[31] დავით ჩიკვაიძე - ტრენერი, ბლოგერი. ავტორი წიგნისა - ანტიგაყიდვები.

გაათვითცნობიერებდნენ მათთვის საინტერესო მიმართულებებს სასწავლო პროგრამიდან, ან მის მიღმა.

რესპოდენტები ასევე ამახვილებდნენ ყურადღებას იმ მარგინალურ ტენდენციაზე, რასაც ქვია დამსაქმებლების მხრიდან აუცილებლად მოთხოვნილი უმაღლესი განათლება. პრობლემა გამოიკვეთა მოქალაქეების აზროვნებაში დამახინჯებულად გამჯდარ სტერეოტიპში: აუცილებლად მისაღებ უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ თუნდაც სასტუმროში ადმინისტრატორის ან რიგით კომპანიაში გაყიდვების მენეჯერის პოზიციაზეც კი, სავალდებულო მოთხოვნებში დამქირავებლის მხრიდან ხდება უმაღლესი განათლების მითითება, ბაზარიც შესაბამისად რეაგირებს და მოზარდთა დიდი ნაწილი ერთადერთი მიზნით აბარებს უმაღლეს სასწავლებელში, რომ გამსვლელი ქულებით ოთხწლიანი „ვალი“ მოიხადოს და დიპლომს, რომელსაც შესაძლოა რეალურად მიღებული განათლება არ უმაგრებდეს ზურგს, თუმცა, აუცილებლად აუნთებს მწვანეს, სამსახურის ძებნის პროცესში.

მსგავსი პოლიტიკით, იზრდება უმაღლესი სასწავლებლების შემოსავლები, გარკვეული დოზით მატულობს განათლების დონე სახელმწიფოში და ჩნდება მეტი პერსპექტივა, რომ უმაღლეს განათლებას კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი გამოიყენებს სახელმწიფოს სასარგებლოდ. თუმცა, გვერდით და პეპლის ეფექტებსაც რომ გადავხედოთ, კვლევამ ცხადყო, რომ კლებულობს ინტერესი პროფესიული სასწავლებლების მიმართ. უმაღლესი სასწავლებლის ტენდენციურობიდან გამომდინარე, კნინდება საზოგადოების აღქმაში პროფესიული სასწავლებლების სტატუსი, რადგან დამსაქმებელი პრიორიტეტს ყოველთვის უმაღლესი სასწავლებლის დიპლომს ანიჭებს, მოთხოვნილი კვალიფიკაციის ექვივალენტი ან თითქმის მსგავს მიმართულებაზე გავლილი კურსებით. იქმნება ე.წ ილუზიური სხვაობა კომპეტენციისა, გასაუბრებაზე მისულ უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებელდამთავრებულ კურსანტებს შორის. შესაბამისად, რიგ პროფესიულ მიმართულებებზე კლებულობს კადრის კომპეტენცია. ხდება შესასრულებელი მოვალეობების პრაქტიკაში შესწავლა ნულოვანი ბაზისებით.

მოქალაქეების ნაწილი, რომელიც დასაქმებას არათუ საკუთარი ბაკალავრის ხარისხით ვერ ახერხებს, არამედ ვერც თანდაყოლილი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება-რეალიზებას ახდენს, დგება დილემის წინაშე, რომ მიიღოს ემიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილება იმ სამუშაოს შესასრულებლად, რაშიც საქართველოსთან შედარებით სხვა, მიმღებ სახელმწიფოში უფრო მეტ შემოსავალს მიიღებს. თვისებრივმა კვლევამ ასევე მოგვცა შესაძლებლობა, გვემსჯელა უმაღლესი განათლების ხარისხის მინიჭების გამკაცრების აუცილებლობაზე და პროფესიული სასწავლებლების განვითარებაზე, საზოგადოების თვალში მათი იმიჯის ასამაღლებელი რიგი ღონისძიებების გატარებაზე. თუმცა, პროცესი ცალმხრივად ვერ მოგვარდება, საჭირო გახდება უხეში სტიმულირებაც კი, რაც ამერიკული მაგალითიდან შეგვიძლია ვისესხოთ, საუბარი შეეხება უმაღლესი განათლების გადასახადის გაზრდას, რომელიც ერთი მხრივ შეამცირებს სტუდენტთა ნაკადებს და გაზრდის სოციალურ უკმაყოფილებას-უთანასწორობას, პარალელურად კი გაიზრდება უმაღლეს სასწავლებელდამთავრებული კადრების ანაზღაურების პოლიტიკაც და შემცირდება ტვინების გადინების პროცესი, რა დროსაც მოხდება რესურსის მაქსიმალური გამოყენება. შედეგის მისაღწევად გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა კი შემდეგი ქრონოლოგიით არის შესაძლებელი:

ყოველდღიური შეფასების ციფრული სისტემის გამოყენებით სასწავლო წლის ბოლოს დადგინდება მოსწავლის საშუალო შეფასება. აღნიშნული შეფასება კი გახდება მოპოვებული სახელმწიფო გრანტის მოცულობის განმსაზღვრელი. ძალაში დარჩება საგრანტო კონკურსი თავისი მნიშვნელობით. პარალელურად კი, აბიტურიენტთა იმ ნაწილს, რომელიც მაღალ აკადემიურ შედეგს ვერ დააფიქსირებს და მოუწევთ სავალდებულო ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება უნივერსიტეტში დაფინანსებით, ან დაფინანსების გარეშე სწავლის გაგრძელებაზე ნებართვის მოსაპოვებლად, შეეძლებათ არჩიონ პროფესიული სასწავლებელი, რომელიც მოსწავლის ინტერესის გათვალისწინებით შეთავაზებს სახელმწიფო დონეზე აკრედიტირებულ პროგრამებს, შეეძლებათ მობილობა და იმოქმედებს სხვა ხელისშემწყობი ფაქტორები, რაც მათი უნარების განვითარების

შესაძლებლობას მიცემს. შესაბამისად, მინიმუმამდე დაიწევს ადამიანური რესურსების არაეფექტიანი გადანაწილების პრეცედენტები და თანდათან განათლების გერმანულ მოდელამდე მისვლასაც შევძლებთ, სადაც მაქსიმალურად ფასდება კომპეტენტური კადრი საკუთარი პროფესიით. მნიშვნელოვანია შეიცვალოს დამსაქმებლის დამოკიდებულებაც უმაღლესი სასწავლებლებისადმი და მოხდეს გაანალიზება, რომელ შესასრულებელ სამსახურს ესაჭიროება უმაღლესი განათლება და რომელს პროფესიული.

მოცემული კონცეფციის დახვეწილი ფორმით პრაქტიკაში განხორციელება მნიშვნელოვნად შეამცირებს ემიგრაციის მაჩვენებელს და გზარდის პროდუქტიულობას, რაც დამსაქმებლის შემოსავლებზე აისახება პირველ რიგში. ზოგადი წარმოდგენებით კი ეს იქნება მასტიმულირებელი გაიზარდოს სახელფასო პოლიტიკაც. შესაბამისად ჯაჭვური პროცესი გამოიწვევს მშპ-ს დონის ზრდას და სახელმწიფოს ახალ გამოწვევებთან გასამკლავებლად დაწინაურებას, რასაც მეცნიერებატევადი დარგების განვითარება ჰქვია.

3.2.. საქართველოს მიერ საერთაშორისო მიგრაციული პროცესების რეგულირება უცხოეთის გამოცდილებაზე დაყრდნობით.

შრომითი რესურსი ის კაპიტალია, რომელიც ქმნის დოვლათს, მოგებას, იწვევს ზარალს, ქმნის პრობლემებს ან აგვარებს მას. ზოგადი შეფასებით კი, ადამიანური რესურსი წარმოადგენს გასაღებს სამომავლო განვითარების რომელი კარი გაიღება და რა ახალ შესაძლებლობებთან იქნება დაკავშირებული ეს. ამიტომ, საერთაშორისო დონეზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კადრების აღზრდის, გადამზადების, ჩამოყალიბების, მოზიდვა-დაინტერესებასა და მათი პოტენციალის შესაბამისად, რესურსების სწორი გადანაწილების პრაქტიკას.

“ადამიანები იძენენ, ინარჩუნებენ და იყენებენ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს (ადამიანური კაპირალი) და ქმნიან ინტელექტუალურ კაპიტალს. მათი ცოდნა

ღრმავდება ერთმანეთთან ურთიერთობით (სოციალური კაპიტალი), რაც ქმნის ინსტიტუციურ ცოდნას, რომელიც ხდება ორგანიზაციის საკუთრება (ორგანიზაციული კაპიტალი)“[ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა, მასალები ,(gfsis.org.)]

უდავოა ფაქტი, რომ უტოპიური ჯაჭვური კავშირი არ არსებობს და საჭიროა სისტემის ავტომატიზაციისთვის დამხმარე ბერკეტების გამოყენებაც, რაც ადამიანური რესურსების მართვის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებზე იმუშავებს და შეეცდება მის სრულყოფას.

საქართველოს სტრატეგია მიგრაციული პროცესის მართვისა სწორედ საერთაშორისო ანალოგიებზეა შექმნილი და პასუხობს შემდეგ პრინციპებს, რომ: დაიცავს კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებს, გააღრმავებს ეკონომიკურ ურთიერთობებს რიგ სახელმწიფოებთან, რასაც გავლენის მოხდენა შეუძლია პროცესზე, გამჭირვალობა, დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმით დაუშველობა, საერთაშორისო ხელშეკრულებების ჯეროვანი შესრულება და თანამშრომლობა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ადამიანური რესურსების ზოგადი მართვის კუთხით საქართველოში რამდენიმე კანონი მოქმედებს, მათ შორის: საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ და კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“; კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, ასევე აღსანიშნავია დადებული ხელშეკრულება ევროკავშირთან - უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეიდმისიის; სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეიდმისიის შესახებ[32].

მოკლედ რომ გავამახვილოთ ყურადღება იმ დებულებებსა და კონცენციებზე, რაც პროცესის სისტემატიზაციას უწყობს ხელს, ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო კონვენცია რაც უნდა ვახსენოთ, ეს ლტოლვილის სტატუსის შესახებ კონვენციაა, რომელიც 1951 წელს, უნივერსალური ხელშეკრულების სახით ჩამოყალიბდა. კონვენცია 2016 წლის მდგომარეობით 145 სახელმწიფოს მიერ იყო რატიფიცირებული. საყურადღებოა ასევე, მიგრანტი

[32] Preview (commission.ge)

მუშაკების უფლებების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო, რაც დაზარალებულს უფლებების დაცვის შესაძლებლობას აძლევს.[33]

სახელმწიფოში მიგრანტთა უკანონო შემოყვანასა და ტრეფიკინგთან დაკავშირებით მაპრევენცირებელ დებულებებზეა საუბარი 2017 წელს გამოცემულ მიგრაციის შესახებ სახელმძღვანელოში[34], სადაც აღნიშნულია, რომ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმი, დამნაშავის დასჯის ღონისძიებას უზრუნველყოფს.

საქართველოს შემთხვევაში, მიგრაციულ საკითხებზე განსაკუთრებული ზრუნვა 2011 წელს იწყება საქართველოსა და ევროკავშირს შორის „უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის“ შეთანხმების ძალაში შესვლით . უკვე 2015 წლიდან, ბიუჯეტიდან გამოიყოფა სახსრები სხვადასხვა პროგრამებისთვის, რაც სამშობლოში დაბრუნების შემდგომი, რეინტეგრაციის პროცესში, პოზიტიურ როლს ასრულებს. დამატებით კი, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიამ დაადგინა 2021-2030 წლის მიგრაციის სტრატეგია, migration.commition.ge -ზე გამოქვეყნებული მონაცემები მოიცავს რიგ საკითხებს 2021 წლის განმავლობაში განსახორციელებელ, დეტალურად ჩაშლილ დღის წესრიგს, კლასიფიცირებული შედეგი ძირითადი გამოწვევებით: მიგრაციის მართვის გაუმჯობესება, ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა, არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა, დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია, დიასპორის ჩართულობა ქვეყნის განვითარებაში, თავშესაფრის სისტემის განვითარება და უცხოელთა ინტეგრაცია.

2020 წლის გეგმაში, სოციალური და ეკონომიკური სარეინტეგრაციო პოლიტიკით გათვლილი იყო წელიწადში 200 მდე მიგრანტის მხარდაჭერა. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო სწაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში დარეგისტრირების შემთხვევაში სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტს შესაძლებლობა მიეცა მიეღო დახმარება შემდეგი მიმართულებით (პროგრამაში ჩართვიდან 1 წლის ვადით): სამედიცინო დახმარება/მედიკამენტების დაფინანსება, დროებითი საცხოვრებლით

[33] მიგრაციის სახელმძღვანელო, ICMPD, პირველი გამოცემა, თბილისი 2017
[34] Migration Textbook - Migration Commission | PDF ონლაინ რეჟიმში | PubHTML5

უზრუნველყოფა, პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დაფინანსება და სოციალური ინიციატივის დაფინანსება, რაც თვითდასაქმების საუკეთესო შესაძლებლობის გარანტია. სარეინტეგრაციო პოლიტიკა სააგენტის მხრიდან კვლავ გამოცხადდა 2021 წელს, რეგისტრაცია კი აპრილის თვეში დასრულდა.[35]

ჭეშმარიტია მოსაზრება, რომ ყოველი მიგრანტის საკითხი უნიკალური და სენსიტიურია, შაბლონური და ზოგადი კამპანიით მათში რეინტეგრაციის სურვილი ვერ გაღვივდება. მრავალი ფაქტორი არსებობს, რასაც მიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილებაზე, მყარი პოზიციის ჩამოყალიბებას შეუძლია შეუწყოს ხელი. ამიტომ, მნიშვნელოვანია განვიხილოთ თითოეული გამომწვევი მიზეზი, რაც აღრმავებს მიგრაციულ პროცესებს და ქმნის კიდევ უფრო მეტ გამოწვევას მიგრაციის საკითხზე მომუშავე ჯგუფებისთვის. საკითხის გაანალიზებაში კი ჩატარებული კვლევა და კვლევის შედეგები დაგვეხმარება.

[35] საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამა 2021 (gda.ge)

დასკვნა

მიგრაციული პროცესები ახლად ფორმულირებული ფენომენი რომ არ არის, ისტორიის ფუცლებიდან შეგვიძლია ამოვიკითხოთ. უძველესი პერიოდიდან მოყოლებული უწყვეტი პროცესი გარკვეული დინამიკით ხასიათდება. გადაადგილების მარშრუტებისა და მიზიდულობის ცენტრებზე თანამედროვე რაკურსმა კი უნიპოლარული სამყაროს პორტრეტი დაგვიხატა, ასევე მრავალფეროვანი მიზეზებით, რაც მიგრაციის გამომწვევ, მასტიმულირებელ ფაქტორებად ყალიბდება.

პერიოდულად აქტუალური ხდება ადამიანური რესურსების გადაადგილების საკითხი, რომელსაც ყოველთვის მრავალი რაკურსით აფასებდნენ, მომთაბარეობაზე მიწათმოქმედების დომინანტობით პროცესი ნაკლებად ქაოტური გახდა, სახელმწიფოების ჩამოყალიბების ტენდენციამ გამოკვეთა ადამიანური რესურსების გადაადგილების ცოცხალი და უწყვეტი პროცესი. უსაფრთხოება, ვაჭრობა, უკეთესი საცხოვრებელი პირობები, ეკოლოგიური გავლენა, კულტურული შეუთავსებლობა და ექსპანსია, ან ექსპანსიის მცდელობა დომინირებდა დიდი ხნის განმავლობაში იმ მიზეზებს შორის, რომელიც იწვევდა მასიურ მიგრაციას, რიგი გამომწვევი მიზეზებით თანამედროვე პროცესებიც ხასიათდება, განსხვავებული გადაადგილების მარშრუტებითა და მიგრანტთა რაოდენობრივი მაჩვენებლით.

სწორედ უწყვეტი პროცესის - მიგრაციის არსებობა ამყარებს საზოგადოების ნაწილის პოზიციის თეზისს, რომ საჭირო არ არის მდინარის დინების საპირისპიროდ სიარული და რომ მიგრაცია არათუ პრობლემა, გამოსავალია ადამიანებისთვის, რომელიც თავისდა სასიკეთოდ, მოსალოდნელი პროგნოზების გამართლებაში უწყობს ხელს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიგრაცია შესაძლებლობაა, აირჩიო სასურველი მიზანი და მიყვე მიზნის მიღწევის გზას: საზღვრების, ბარიერებისა და ბარიკადების გარეშე, იგი შესაძლებლობაა იაზროვნო გლობალურად და იგრძნო რომ ხარ ღირებული, არა რომელიმე ქვეყნის მოქალაქის სტატუსის გამო, არამედ იმიტომ, რომ ხარ ინდივიდი და კაცობრიობას ჭირდება რესურსი, რომელსაც საკუთარი

მოღვაწეობით თავაზობ - დიდი, თუ პატარა როლი, რომლის შესრულებაც შეგიძლია, რაც კვალს დატოვებს ან თავს გაგრძნობინებს მთლიანი ნაწილად, თუნდაც რთულ მექანიზმში პატარა ჭანჭიკად, რომლის გარეშეც გამართული მუშაობა წარმოუდგენელი იქნებოდა.

მიგრაციის პროცესით გამოწვეული დადებითი და უარყოფითი ფაქტორების გაანალიზებას შეეხო საუბარი, როგორც გამგზავნი, ასევე მიმღები სახელმწიფოს შემთხვევაში. <u>დანართი 2:3</u> ის დახმარებით მოხდა ყველა იმ ძირითადი შედეგობრივი კავშირის გაანალიზება და დახარისხება, რაც თავს ავლენს დადებითი ან უარყოფითი ჭრილით, სახელმწიფოსთვის მიგრაციული პროცესის გაღრმავების პარალელურად. შესაბამისად საკითხავი არ არის - დადებითი მოვლენაა თუ უარყოთი მიგრაცია, საკითხავია ყველა იმ თანმდევი ფაქტორის გაანალიზებით, რაც მას ახლავს, რა უღირს სახელმწიფოს. ომი გამოუცხადოს მას და მეტად ნაციონალურ, ჩაკეტილ სისტემაში მოექცეს, შეუწყოს პროცესს ხელი და მეტად გლობალურად იაზროვნოს თუ იმუშაოს ორივე მიმართულებით განვითარებაზე და ოქროს შუალედის შენარჩუნებით მოქალაქეს თავად მიცეს ღირსეული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა?

სწორედ ეს არის ნაშრომის მთავარი მიზანი, დაგვანახოს, რომ მიგრაციის საკითხი რამდენადაც მწვავე და საყურადღებოა, იმდენად მნიშვნელოვანი და ღირებული პროცესია დღეს.

საქართველოს მაგალითზე დაყრდნობით, მთავარი გამოწვევებს შორის გამოიკვეთა ჭარბი მიგრაციული პროცესები, უმეტესად დაბალკვალიფიციური კადრების გადინებით დამახასიათებელი, შესაბამისად მსჯელობის ნაწილი დაეთმო განათლების სისტემის გადაწყობას და ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მინიმალური ხარჯებით მაქსიმალური შედეგების მიღწევის ვერსიებს. გარდა განათლების სისტემის რეფორმული ცვლილებებისა ხაზი გაესვა დამსაქმებლის მხრიდან ტრენდირებულ სტერეოტიპებს და იმ მარგინალურ პრაქტიკას სექტორში, რაც ამცირებს შრომითი რესურსების ეფექტიან გამოყენებას და იწვევს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სტიმულირებას მიგრაციის სასარგებლოდ.

საქართველოს მაგალითზე განვიხილეთ კვლევის შედეგები - ეკონომიკური ფონით გამოწვეული უკმაყოფილება. შევეცადეთ ამ მიმართულებით პრობლემის მოგვარების გზების მარტივი ფორმულის ჩამოყალიბება, თუმცა ცალსახად გვიჩვენა ჰიპოთეზურმა ქრონოლოგიამ, რომ მნიშვნელოვანია სწორი გეგმის განსაზღვრა და თანმიმდევრობის დაცვა. ნათელი გახდა, რომ არაეფექტურია დასახული მიზნის მიღწევის გზაზე თანმხვედრი გამოწვევების უშუალო პრევენცია, ხშირად მსგავსი მიდგომით პრობლემა მუტაციას განიცდის და ბევრად უფრო რთულ ფორმას ღებულობს საზოგადოებაში, ამრიგად მაქსიმალურად შევეცადეთ გაგვეშიფრა და სააშკარაოზე გამოგვეტანა ის პრობლემები, რაც საფუძვლად უდევს მრავალ გვერდით ეფექტსა თუ გამოწვევას, რომელთაც კავშრი აქვთ მიგრაციული პროცესების სტიმულირებასთან.

ცხადი გახდა, პოლიტიკური დღის წესრიგით გამოწვეული პრობლემების დომინირება პროცესზე მაშინ, როდესაც საომარი მოქმედებები, სხვადასხვა ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმები, დაუცველობის განცდა, ტერორი და გაუმართავი სახელმწიფო სტრუქტურები ხდება საფუძველი მიგრაციული პროცესების გაღრმავებისა. განვიხილეთ საქართველოს უახლოესი ისტორიის მაგალითები, პერიოდი, როდესაც მიმდინარე გამოწვევები იღებს სათავეს და შევეცადეთ გაგვეანალიზებინა რა მიზეზს რა შედეგი მოყვა, ამრიგად 90-იანი წლების მწვავე პოლიტიკურ მდგომარეობას და გაუმართავი სახელმწიფო უწყებების პრიმატს შევეხეთ. მხედველობის მიღმა არ დარჩანილა შედარებითი ანალიზი სახელმწიფოებთან, რომელთაც წარმატებით დაძლიეს პროცესი და უკვე მრავალი წელია ახასიათებთ დადებითი მიგრაციული სალდო. აშშ და ისრაელის მაგალითზე დაყრდნობით მოხდა მთავარ პროცესებზე ხაზგასმა და იმ დეტალების გამოყოფა, რაც ხელის შემწყობია პროცესის მართვაში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რეალიზმის სკოლის მთავარ კონცეფციას, ძალის პრიმატს და ეროვნულ უსაფრთხოებას, პატრიტიზმსა და თავისუფალი ვაჭრობის წახალისების აუცილებლობას; მყარ და სანდო ბიუროკრატიულ შემადგენლობებს; კომპეტენტური და ღირსეული კადრებით საკანონმდებლო და სასამართლო სისტემების პერსონალის დაკომპლექტებას.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, საკითხის განხილვით მოსალოდნელი იყო, რომ არ მოხდებოდა მკვეთრად გარჩევა შავის და თეთრის. ნაშრომის საშუალებით გავმიჯნეთ ყველა ის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რაც საკითხს თან ახლავს და განვიხილეთ თეზისები, არგუმენტებით გამყარებული, თუ რა სვლების გაკეთება იქნება ლოგიკური, იმისთვის, რომ მოხდეს არა მიგრაციის ტალღების ხელოვნული მართვა, არამედ ჯანსაღ პირობებში ადამიანური რესურსების იმგვარი გადამზადება, რომ შესაძლებელი გახდეს მათი რესურსის მიზნობრივი გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდის დონეზე კეთილდღეობის ზრდას. განვიხილეთ სახელმწიფოს გარდაუვალი როლი უსაფრთხოების და თავდაცვის გაძლიერების კუთხით და ბოლოს, დავტოვეთ ღია საკითხი ყოველი მოქალაქისთვის, ისევე როგორც ბიზნეს ოპერატორისთვის, ინდივიდუალურად იზრუნონ სახელმწიფო რეგულაციებისა და დაკისრებული ვალდებულებების გარეშე დარგში სპეციალიზაციაზე, რესურსების მიზნობრივ გამოყენებასა და მეტი საყოველთაო კეთილდღეობის მიღების გზების გაკვალვაზე, რომელიც უკეთეს ხვალინდელ დღეს განაპირობებს ნაკლები აქსიომით, სტერეოტიპითა და დამახინჯებულად ფესვგამდგარი წარმოდგენებით.

გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა:

1. თორია მ. - საერთაშორისო ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, რიდერი, ელ. ვერსია 2020
2. მაისაია ვ. - საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინატები ცივი ომის შემდეგ (1991-2004), თბილისი 2013
3. მენქიუ ნ. გ. - ეკონომიკის პრინციპები, მეორე ქართული გამოცემა, გამომცემლობა დიოგენე 2008
4. მიგრაციის სახელმძღვანელო, ICMPD, პირველი გამოცემა, თბილისი 2017
5. საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 2019 (mp19_web3.pdf (commission.ge)) 26.6.2021 last check
6. სსიპ-დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო - საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამა, თბილისი 2020 (16.07.20-3.pdf (moh.gov.ge)) 10.7.2021 last check
7. ჯოლია გ. - ქვეყანათმცოდნეობა, თბილისი 2004
8. ჭელიძე ნ. - შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიგრაციის კვლევის ცენტრი, თბილისი 2006
9. ჯაფარიძე ნ. - ადამიანური რესურსების საერტაშორისო მიგრაციის ტენდენციები გლობალიზაციის პირობებში, კსუ, თბილისი 2019
10. ხაჩიძე ს. - თანამედროვე მიგრაციული პროცესები გლობალიზაციის კონტექსტში, თსუ, თბილისი 2019
11. ჰეივუდი ე. - პოლიტიკური იდეოლოგიები: შესავალი კურის, მე-3 გამოცემა, ლოგოს პრესი, თბილისი 2004
12. BBC NEWS – Migration to Europe in charts, *11 September of 2018* (Migration to Europe in charts - BBC News) 26.6.2021 last check
13. Britannica – Human migration, written by Editors of encyclopedia Britannica (human migration | Definition, Overview, & Facts | Britannica) 10.7.2021 last check

14. CNN – 5 Things to know for march 2: Coronavirus, Immigration, SCOTUS, Nigeria, France, by AJ Willingham, *March 2, 2021* (5 things to know for March 2: Coronavirus, immigration, SCOTUS, Nigeria, France - CNN) 26.6.2021 last check
15. Compendium of migration milestones – Facts & figures, *march 2021* (compendium_of_migration_milestones_web.pdf (commission.ge)) 26.6.2021 last check
16. European Commission – Statistics on migration to Europe, *June 18 of 2020* (Statistics on migration to Europe | European Commission (europa.eu)) 26.6.2021 last check
17. Eurostat: Statistics Explained – Immigration by citizenship, 2019 (File:Immigration by citizenship, 2019.png - Statistics Explained (europa.eu)) 26.6.2021 last check
18. Eurostat: Migration and Migrant population statistics, *March 2021* (Migration and migrant population statistics - Statistics Explained (europa.eu)) 26.6.2021 last check
19. Forbes.ge - მიგრაცია: ქვეყნის განვითარების მასტიმულირებელი თუ შემაფერხებელი ფაქტორი? 7 ივლისი 2015 (მიგრაცია - ქვეყნის განვითარების მასტიმულირებელი თუ შემაფერხებელი ფაქტორი? (forbes.ge)) 10.7.2021 last check
20. Geostat.ge - დასაქმება და უმუშევრობა (დასაქმება და უმუშევრობა - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge)) 26.6.2021 last check
21. GFSIS.ORG - ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა, *ოქტომბერი 2011* (მასალები - ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა (gfsis.org)) 26.62021 Last check
22. History.com – U.S migration timeline, *December 21st of 2018* (U.S. Immigration Timeline - HISTORY) 26.6.2021 last check
23. Huffpost – All Americans not equal: Mistrust and discrimination against Naturalized citizens in the U.S, by Alev Dudek, *27 August 2015, updated in 27.8.2016* (All Americans Not Equal: Mistrust and Discrimination Against Naturalized Citizens in the U.S. | HuffPost) 26.62021 last check

24. Listwand.com – Top 7 reasons Africans migrate to Europe, by Uzonna Anale, *13 November of 2018* (Top 7 Reasons Africans Migrate To Europe | Listwand) 26.6.2021 last check
25. Macrotrends.net – U.S. Military Spend/Defense Budget (1960-2019) (U.S. Military Spending/Defense Budget 1960-2021 | MacroTrends) 3.7.2021 last check
26. Macrotrends.net – U.S. Unemployment Rate 1991-2021 (U.S. Unemployment Rate 1991-2021 | MacroTrends) 3.7.2021 last check
27. Migration.commision.ge - საქართველოს 2021-2030 წლის სტრატეგიის 2021 წლის სამოქმედო გეგმა (ms_ap_2021+logframe_28.01.21.pdf (commission.ge)) 9.7.2021 last check
28. Nbg.gov.ge - ფულადი გზავნილები (National Bank Of Georgia (nbg.gov.ge)) 10.7.2021 last check
29. Returnofkings.com – 5 reasons why Israel is one of the world's most successful states, by Matt Forney, *January 18 2016* (5 Reasons Why Israel Is One Of The World's Most Successful States – Return Of Kings) 26.6.2021 last check
30. U.S Department of State – International Migration (bureau of population, refugees and migration) – international migration (International Migration - United States Department of State) 26.6.2021 last check
31. World Economic Forum – African migration: what the numbers really tell us, Marie McAuliffe, Adrian Kitimbo, *June 7, 2018* (African migration: what the numbers really tell us | World Economic Forum (weforum.org)) 26.6.2021 last check
32. WorldAtlas.com – Former british colonies, 8 september 2020 (Former British Colonies - WorldAtlas) 7.10.2021 last check

დანართი: 1.1.1

არალეგალი მიგრანტების პროცენტული მაჩვენებელი ევროკავშირში (2019წ)



დანართი: 1.1.2

აფრიკის კონტინენტიდან მიგრანტთა ძირითადი მარშრუტები

<table>
<tr><td>სომალი</td><td rowspan="2">სუდნი</td><td rowspan="4">ლიბია</td><td rowspan="5">მალტა</td></tr>
<tr><td>უგანდა</td></tr>
<tr><td>კამერონი</td><td rowspan="5">ნიგერი</td></tr>
<tr><td>განა</td></tr>
<tr><td>ნიგერია</td><td>ტუნისი</td></tr>
<tr><td>სენეგალი</td><td rowspan="3">ალჟირი</td><td rowspan="5">ესპანეთი</td></tr>
<tr><td rowspan="2">მალი</td></tr>
<tr><td></td></tr>
<tr><td colspan="3">მავრიტანია</td></tr>
<tr><td colspan="3">სიერა-ლეონე</td></tr>
</table>

დანართი 1.1.3

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიგრაციული სტატუსი, 2019წ.

	სულ: იმიგრანტები	შიდა მიგრაცია							
				არარეზიდენტი					
				სულ		მოქალქეები ევროკავშირის სხვა სახელმწიფოებიდან		მოქალქეები ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოებიდან	
	ათასი	ათასი	%	ათასი	%	ათასი	%	ათასი	%
ბელგია	150	19	12,7	130,1	86,7	66,9	44,6	63,1	42,1
ბულგარეთი([1])	37,9	23,6	62,1	14,4	37,9	0,9	2,4	13,4	35,4
ჩეხეთი	105,9	4,2	3,9	101,7	96,1	32,1	30,3	69,7	65,8
დანია	61,4	19,1	31,1	42,3	68,9	22,1	35,9	20	32,6
გერმანია([2])	896,3	155,9	176	727,4	82,1	;	;	;	;
ესტონეთი	18,3	7,3	39,8	10,4	57	3,7	20,4	6,7	36,6
ირლანდია	85,6	24,1	28,1	60,4	70,6	;	;	;	;
საბერძნეთი	129,5	34,1	26,3	95,4	73,7	;	;	;	;
ესპანეთი	750,5	84,5	11,3	666	88,7	122,4	16,3	543,2	72,4
საფრანგეთი	385,6	131,4	34,1	254,2	65,9	65,3	16,9	188,9	49
ხორვატია	37,7	9,9	26,2	27,8	73,8	2,3	6,1	25,5	67,6
იტალია	332,8	68,2	20,5	264,6	79,5	55,2	16,6	209,3	62,9
კვიპროსი	26,2	4,9	18,6	21,3	81,4	;	;	;	;
ლატვია	11,2	4,6	40,8	6,6	58,9	0,7	5,9	5,9	53
ლიეტუვა	40,1	20,4	50,9	19,7	49,1	0,8	1,9	18,9	47,1
ლუქსემბურგი	26,7	1,5	5,7	25,1	94,1	16,4	61,5	8,7	32,6
უნგრეთი	88.6	33.3	37.6	55.3	62.4	10.5	11.8	44.8	50.6
მალტა	28.3	1.5	5.2	26.9	94.8	;	;	;	;

ნიდერლანდი	215.8	48.5	22.5	166	76.9	82.6	38.3	82.8	38.4
ავსტრია	109.2	10	9.1	99.2	90.8	66.9	61.3	32.2	29.5
პოლონეთი([1]) ([2])	226.6	111.9	49.4	114.8	50.6	;	;	;	;
პორტუგალია	72.7	26.4	36.4	36.3	46.3	;	;	;	;
რუმინეთი([2])	202.4	161.3	79.7	40.8	20.2	;	;	;	;
სლოვენია	31.3	3.8	12	27.6	88	3	9.7	24.5	78.3
სლოვაკეთი([1])	7	4.5	64.6	2.5	35.4	1.7	24.4	0.8	11
ფინეთი	32.8	8.6	26.2	24.1	73.5	6.1	18.7	17.9	54.7
შვედეთი	115.8	17.6	15.2	97.8	84.5	23.3	20.1	73.5	63.5
ნორვეგია	48.7	6.4	13.1	42.3	86.9	19.6	40.2	22.6	46.4
შვეიცარია	145.1	24	16.5	121.1	83.5	79.6	54.8	41.5	28.6

([1]) – წინასწარი პროგნოზი

([2]) - მიახლოებითი მონაცემები

წყარო: Eurostat (online data code: migr_imm1ctz)

დანართი: 2.1.1

ევროკავშირიდან საქართველოში დეპორტირებული მოქალაქეების რაოდენობა, 2018წ

სახელმწიფო	რაოდენობა
თურქეთი	1788
ისრაელი	813
გერმანია	531
საფრანგეთი	273
რუსეთი	209
ავსტრია	166
ბელგია	108
შვედეთი	102
შვეიცარია	84
იტალია	83
საბერძნეთი	58
უკრაინა	46
ესპანეთი	44
ისლანდია	41
ნიდერლანდები	38
ფინეთი	30
სხვა	152
ჯამში:	4566

წყარო: *საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო*

დანართი: 2.1.2.

მიგრაციის გავლენა მიმღები/გამგზავნი სახელმწიფოსთვის

გამგზავნი სახელმწიფო		მიმღები სახელმწიფო	
დადებითი	უარყოფითი	დადებითი	უარყოფითი
გამოთავისუფლებულ სამუშაო ადგილებზე შეუძლია დაასაქმოს სხვა მოქალაქე	კარგავს ადამიანურ რესურსს რისი ეფექტიანი გამოყენებაც შეეძლო.	ღებულობს ე.წ. ნაჩუქარ კვალიფიციურ კადრს, რომლის გადამზადებაშიც მონაწილეობა არ მიუღია. ან ღებულობს „შავი სამუშაოს“ შემსრულებელ მიგრანტს, რომელსაც მიზერული ანაზღაურებით ასაქმებს. ხოლო აღნიშნული სამუშაოდან გამოთავისუფლებული მოქალაქის რესურსს იყენებს გაცილებით ეფექტურად. კრიზისის დროს პირველ რიგში მიგრანტების გათავისუფლებით ახერხებს სამუშაო ადგილების ეროვნული ძალისთვის შენარჩუნებას გარკვეული დოზით.	იზრდება კონკურენცია, უმუშევრობის დონე და სოციალური დაძაბულობა ეთნიკურ ნიადაგზე.
ღებულობს სარგებელს საერთაშორისო გადარიცხვებით			ხდება ფულადი სახსრების გადინება.
ხდება ეროვნული ვალუტის ბრუნვადობის ზრდა, გზავნილების კონვერტაციის.			
ამცირებს მოსახლეობის უმუშევრობის დონეს, ჯამური მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ხარჯზე.			
ამცირებს დაძაბულობას და მწვავე კონკურენციას ვაკანტურ პოზიციებზე	ხდება დემოტივაცია და კადრის განვითარების უზრუნველყოფაზე უარის თქმა.	მწვავდება კონკურენცია და გარდაუვალია მიზნის მისაღწევად თავის საუკეთესოდ წარმოჩინების აუცილებლობა.	მცირდება ანაზღაურება პოზიციებზე, სადაც მიგრანტი თანხმდება მიზერული
იზრდება საშუალო	ყალიბდება დაბალი	იზრდება ეფექტურობა,	

ხელფასის მოცულობა	კომპეტენცია და ვღებულობთ ნაკლებეფექტურ სამუშაო გარემოს.	დოვლათი.	სარგებლის სანაცვლოდ დასაქმდეს. იზრდება კონკურენცია და კონკურენციის ხარისხი

წყარო: თორია. მ. საერთაშორისო ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, რიდერი, ელ. ვერსია 2020

დანართი: 2.2.1

აშშ-ს ბიუჯეტიდან თავდაცვის კუთხით გამოყოფილი სახსრები და მისი კავშირი მშპ-სთან.

წელი	თავდაცვისთვის გამოყოფილი სახსრები (მლრდ)	მშპ-ს მოცულობა
1960	47,35	8,99%
1970	83,41	8,03%
1980	143,69	5,15%
1990	325,13	5,61%
2000	320,09	3,11%
2010	738,01	4,92%
2019	731,75	3,41%

წყარო: *macrotrends.net (U.S. Military Spending/Defense Budget 1960-2021 | MacroTrends)*

დანართი 3. კვლევის კითხვარი

საზოგადოებრივი აზრის კვლევა საერთაშორისო მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებით

- ❖ კვლევა ანონიმურია და არ მოითხოვს პირად მონაცემებს.
- ❖ დიდი მადლობა კვლევაში მონაწილეობისათვის.

* აუცილებლად შესავსებია.

1. სქესი*:
   - ○ მდედრობითი
   - ○ მამრობითი
2. თქვენი ასაკი*
   - o 18-25 წლამდე
   - o 25-40 წლმდე
   - o 40-60 წლამდე
3. ყოფილხართ თუ არა საზღვარგარეთ 6 თვეზე მეტი ხნით?*
   - ○ დიახ
   - ○ არა
4. სხვა სახელმწიფოში მოგზაურობის მიზეზი?*

---

5. აღიქვამთ თუ არა ემიგრაციას, როგორც პრობლემას საქართველოსთვის და რატომ?*
   - ○ დიახ
   - ○ არა
6. რა არის ის ძირითადი გამომწვევი მიზეზი, რის გამოც საქართველოდან სხვა ქვეყანაში მიდის მოქალაქე?*

---

7. ჩამოთვლილთაგან, რომელი ფაქტორი იქონიებდა განსაკუთრებით დიდ ზეგავლენას თქვენზე, რომ მიგეღოთ მიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილება? (აღნიშნეთ)*
    - პოლიტიკური არასტაბილურობა და სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან დაუცველობის განცდა.
    - ეკონომიკური კრიზისი: გაძვირებული ფასები, გაუფასურებული ვალუტა და დაბალი შემოსავალი
    - სხვა ეკონომიკური ფაქტორი: საბანკო სესხი, ლიზინგი, ყადაღა და სხვა.
    - დასაქმების ნაკლები პერსპექტივა
    - კერძო ან სახელმწიფო სექტორში ხელმძღვანელობის მხრიდან გადამეტებული უფლებამოსილების გამოყენება: ზეწოლა, შეუსრულებელი მისიების დაკისრება, სიტყვიერი შეურაცხყოფა და ა.შ., რაც სისტემატიურია და ზოგადად დამახასიათებელი ყველა ან უმრავლესი ორგანოს/ორგანიზაციისთვის.
    - საკუთარი პოტენციალით მაქსიმალურის მიღწევის სურვილი.
    - გარშემომყოფ ეთნიკურ ჯგუფებთან საერთო ენის ვერ გამონახვა
    - რელიგიური დევნა
    - სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული საკითხები
    - საგანმანათლებლო მიზნით, საქართველოში დაბრუნების გეგმით
    - საგანმანათლებლო მიზნით, მიმღებ სახელმწიფოში ხანგრძლივი ვადით დარჩენის შესაძლებლობის.
    - სხვა (აღწერეთ მიზეზი)----------

    ---

8. რომელ სახელმწიფოში ამჯობინებდით წასვლას და რატომ? *

---

9. რამდენად მარტივად მიგიღებთ აღნიშნული სახელმწიფო და თუ დაბალია ლეგალურად მოხვედრის შანსები, რომელი ქვეყანა იქნებოდა როგორც გეგმა B? *

---

10. გადამწყვეტია თუ არა ფაქტორი, მიმღებ სახელმწიფოში წასვლამდე გაეცნოთ მათ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სამართლებრივ მდგომარეობას? *

    - დიახ
    - არა

11. წახვიდოდით თუ არა სპონტანურად იქ, სადაც არავინ იქნება (ან იშვიათად შეხვდებით) თანამემამულეს?*

    - დიახ
    - არა

12. ლეგალურად წასვლას ამჯობინებდით, მიმღები სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციების შეგროვების და მათგან დასტურის მიღების შემდეგ, თუნდაც რამდენჯერმე დაგჭირვებოდათ მცდელობა, თუ არალეგალური გზებით შეეცდებოდით დროთა განმავლობაში დამკვიდრებას?*

    - დიახ
    - არა

13. როგორ ფიქრობთ, მიმღებ სახელმწიფოში დასაქმების შემთხვევაში ლეგალურად და არალეგალურად (ორივე შემთხვევაში) რა პოზიციებზე მუშაობას შეძლებთ?*

---

14. რა უნდა გამოსწორდეს საქართველოში ისეთი, რაც დარჩენის სურვილს გაგიჩენთ, მიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად?*

---

15. როგორ ფიქროთ, რა უნდა გაკეთდეს -როგორც სახელმწიფოს მხრიდან , ისე მოქალაქეების მხრიდან, იმისთვის რომ სიტუაცია გამოსწორდეს და შემცირდეს საქართველოდა ემიგრაციაში წამსვლელების რიცხვი?*